ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

16 სექტემბერი, 2019

ორშაბათი, №8 (2234)

უნიკალური აღმოჩენა – ცხოველის ნაშთიდან აღებული მსოფლიოში ყველაზე ძველი დნმ დმანისში

ბიომოლეკულარულმა პროექტმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, თსუ-ის პროფესორის დავით ლორთქიფანიძის და კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორის ესკე ვირსლევის ხელმძღვანელობით შესაძლოა ევოლუციური საიდუმლოებები ამოხსნას.

უნიკალური კვლევის შედეგად, რომელიც კოპენჰაგენის და საქართველოს ეროვნული მუზეუმების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა, მეცნიერებმა დმანისში აღმოჩენილი მარტორქის კბილის მინანქრიდან შეძლეს გამოეყოთ 1.77 მილიონი წლის წინანდელი მნიშვნელოვანი გენეტიკური ინფორმაცია — ცილების პროტეომების თანმიმდევრობის სრული ჯაჭვი. კვლევაში მსოფლიოს წამყვანი ლაბორატორიები მონაწილეობენ.

ეს არის ცხოველის ნაშთიდან აღებული მსოფლიოში ყველაზე ძველი დნმ, რომელმაც მილიონი წლით დააძველა დღემდე ცნობილი ინფორმაცია. აქამდე უძველესი დნმ-ინფორმაცია — აღმოჩენილი კუნძულ იუკონზე (ჩრდილო-დასავლეთ კანადა) — 700.000 წლის წინანდელი ცხენიდან იყო მიღებული.

გვ. 5

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ულოცავ ყველა პირველკურსელს ახალი სასწავლო წლის დაწყებას! ჩვენი უნივერსიტეტისთვის ეს 102–ე მიღებაა და დიდი პატივია, რომ ამდენმა აბიტურიენტმა გააკეთა არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რაც ძალიან გვახარებს. იმედია, რომ მათგან დიდი ნაწილი დაასრულებს აქ სწავლას, გახდება პროფესიონალი, კარგი სპეციალისტი და დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

უნივერსიტეტის პირველი პედაგოგის ვანდა ღამბაშიძის ქალიშვილი, რომელიც პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო, ემიგრაციაში ყოფნისას სულ ამგობდა თურმე, რომ ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, არსად არ არსებობს. მისი მოგონებები უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე საქართველოში ჩამოსულმა მისმა შთამომავალმა გაგვაცნო, სადაც მედეა ღამბაშიძე წერდა: „მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა... აკაკი შანიძის ლექციით დავიწყე. გიორგი ახვლედიანთან დავიწყე სანსკრიტის სწავლა. მახსოვს კიდევ შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით სავსე ლექციები ფილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნაზი, საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე გატონი ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიის შესახებ“. ამ ჩანაწერებში ჩანს ის უნივერსიტეტი, რომლის სახელითაც დღემდე ვამაყობთ და იმედი გვაქვს, რომ მედეა ღამბაშიძით დაწყებული, დიდი ოჯახის წევრობის ხიბლს მალე მიხვდებიან ისინიც, ვინც წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვინც მომავალში ჩვენი კურსდამთავრებულის სახელს შეიძენს.

გიორგი შარვაშიძე,
თსუ-ის რექტორი

ნომერში

- მისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა (ესტატე ხმალაძის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია თსუ-ში) გვ. 6
- მან შეუძლებელი შესაძლებელი და შესაძლებელი ხელმისაწვდომი გახადა გვ. 6
- ევროპის საუკეთესო მეცნიერი, რომელიც დაბერებას ებრძვის გვ. 11
- პირველი ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი გვ. 12
- თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე დარეგისტრირებულთა უმრავლესობა სტუდენტი გახდა გვ. 15
- საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე საუკეთესო ანსამბლად „უნივერსიტეტი“ დასახელდა გვ. 13
- თსუ სპორტში წარმატებებს არავის უთმობს გვ. 13
- ✓ სუპერლიგის ჩემპიონი მწვრთნელი ლექსო ლაფანაშვილი თსუ-ის გუნდს გაწვრთნის

რა სიახლეებით ხვდებიან ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?

გვ. 7-10

ყველაზე მეტი გრანტის მფლობელი თსუ-ში ჩაირიცხა — გვ. 2

რატომ ირჩევენ ყველაზე მაღალრეიტინგულები თსუ-ს? — გვ. 2

რა სიახლეებით ვხვდებით ახალ სასწავლო წელს? გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე — გვ. 3

ყველაზე მეტი გრანტის მფლობელი თსუ-ში ჩაირიცხა

ნატო ოგოლაძე

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 4946 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც გასულ წელთან შედარებით 514 სტუდენტით მეტია. კარგი მაჩვენებელი დაფიქსირდა სახელმწიფო სასწავლო გრანტების მოპოვების თვალსაზრისითაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის ვალერიან გობრონიძის ინფორმაციით, სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების საერთო რაოდენობის 1/3 თსუ-ში ჩარიცხულმა სტუდენტებმა მოიპოვეს.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 942 სტუდენტი ჩაირიცხა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 1371, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 598, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — 995, იურიდიულზე — 600, მედიცინის ფაკულტეტზე — 155, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 285.

ჩარიცხული სტუდენტების 45%-მა სახელმწიფო სასწავლო გრანტი სრული ან ნაწილობრივი ოდენობით მოიპოვა. აქედან — 397-მა სტუდენტმა 100%-იანი გრანტი მიიღო, 492-მა — 70%-იანი, 1358-მა კი 50%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

1200-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე: ეკონომიკა, ქართული ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა.

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, კარგი შედეგები დაფიქსირდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისითაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლას აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სტუდენტებთან ერთად ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებიც გააგრძელებენ.

რატომ ირჩევენ ყველაზე მაღალრეიტინგულები თსუ-ს?

დანიელ სტეპანენკო

ანა ხურციძე

ლუკა კუპრაშვილი

მარიამ გუგეშაშვილი

თამარ მანთიძე

მარიამ თხინვალელი

ანა აბრამიძე

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, საქართველოს მასშტაბით საუკეთესო რეიტინგის მქონე აბიტურიენტი სწავლას თსუ-ში გააგრძელებს. დანიელ სტეპანენკო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის სტუდენტი გახდა. ამავე ფაკულტეტზე ისწავლის ორი მომდევნო ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი — ნიკოლოზ ბუჯიაშვილი და გოჩა მაისურაძე. ერთიან ეროვნულ გამოცდებში, ასევე, ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება მიიღეს ამჯერად უკვე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელმა ანა აბრამიძემ, თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პირველკურსელმა ლუკა კუპრაშვილმა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელმა მარიამ გუგეშაშვილმა, მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელმა თამარ მანთიძემ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელმა მარიამ თხინვალელმა და იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელმა ანა ხურციძემ.

თსუ-ის წარმატებულმა პირველკურსელებმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ერთწლიან დატვირთულ პერიოდთან და სტუდენტობის დაწყებასთან დაკავშირებული ემოციები გაგვიზიარეს, გაიცნეს ერთმანეთი და გვესაუბრნენ — თუ როგორ შეარჩიეს პროფესია, რატომ აირჩიეს თსუ და რა ინტერესები, მოლოდინი და სამომავლო გეგმები აქვთ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას.

დანიელ სტეპანენკო, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის I კურსის სტუდენტი: „თბილისის 74-ე საჯარო სკოლა (რუსული სექტორი) დავამთავრე. მთელი ცხოვრება თბილისში გავატარე. საზღვარგარეთ არასდროს ვყოფილვარ. ფიზიკის, მათემატიკისა და ზოგადი უნარების გამოცდებში პრობლემა არ მქონია, ადვილად მოვემზადე. უცხო ენად ჩემი მშობლიური რუსული ენა ჩავაბარე, ყველაზე მეტად ქართული ენის შესწავლა გამიჭირდა, ამიტომ მთელი წელი მას დავუთმე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით X კლასიდან დავინტერესდი. ავირჩიე ფიზიკა, რადგან ყველაზე მეტად დამაინტერესა, თუმცა სხვა მეცნიერებებიც მომწონს. ძალიან მინდა, მომავალში უცხოელ მეცნიერებთან ერთად ვიმუშაო და საერთო პროექტები განვახორციელო. ასევე, ჩემი ოცნებაა კვანტური ბიოლოგიის (ცოცხალი ორგანიზმების ცხოვრების კვანტურ დონეზე ახსნა) განვითარება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მეტად ფიგურირებს საერთაშორისო ასპარეზზე და ყველაზე მეტადაა პოპულარული. სწორედ ამიტომ ავირჩიე აქ ჩაბარება. ამასთანავე, ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ჩემი ოჯახისთვის ფინანსური თვალსაზრისითაც ხელმისაწვდომია.

თავისუფალ დროს სამეცნიერო წიგნების კითხვაში ვატარებ, მომწონს ავტორები: რიჩარდ დოკინსი, კარლ სეიგანი, სტივენ ჰოკინგი და სხვა. კლასიკური მუსიკა ძალიან მიყვარს, მეც ვუკრავ პიანინოზე.

მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევდი, რომ შრომა და სწავლა მნიშვნელოვანია, თუმცა საკუთარი ჯანმრთელობა არ უნდა დაივიწყონ, განსაკუთრებით ძილი, რასაც ბევრი აბიტურიენტი ყურადღებას არ აქცევს... ეს დიდი შეცდომაა“.

ანა ხურციძე, იურიდიული ფაკულტეტის კურსის სტუდენტი: „ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის მე-3 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. IV კლასში ვიყავი, როდესაც იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩაგვატარებინეს. მე ადვოკატის როლი მერგო. სწორედ მაშინ გადავწყვიტე სამართლის შესწავლა. ბავშვობის ოცნება მიზნად დავისახე. არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევაჩერე, რადგან ბევრს უთქვამს, რომ საქართველოში სამართალს საუკეთესოდ ამ უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან.

მიყვარს მუსიკა, თითქმის ყველა ჟანრს ვუსმენ. მეც ვუკრავ, თუმცა მხოლოდ ჩემთვის. ასევე მიყვარს აზიური კინო, ძალიან განსხვავებული ხალხია და განსხვავებული ურთიერთობები აქვთ, რაც ჩემთვის საინტერესოა. სიამოვნებითვუსმენ აზიური კინოს მუსიკასაც“.

ლუკა კუპრაშვილი, თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის I კურსის სტუდენტი: „თბილისის ილია ვეკუას სახელობის 42-ე სკოლა დავამთავრე. ბოლო ერთი წელი ინტენსიურად ვემზადებოდი, გავდიოდი სკოლის პროგრამას, დავდიოდი რეპეტიტორებთანაც. უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისას თსუ-ში ჩაბარება გადავწყვიტე. მინდა, რომ ძლიერ სპეციალისტად ჩამოვყალიბდე. ამ ეტაპზე არ ვფიქრობ, მაგრამ სამომავლოდ მაინც მგონია, რომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც გავაგრძელებ.

სპორტი მიყვარს. თბილისის ფრენბურთის გუნდში ვთამაშობ. ვიცი, რომ ფრენბურთის გუნდი თსუ-შიც არის და ვფიქრობ, აქაც ვცდი ბედს. განსატვირთად მუსიკას ვუსმენ, ხანდახან მეც ვმღერი, თუმცა არც თუ კარგად გამომდის“.

მარიამ გუგეშაშვილი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „თბილისის კლასიკური გიმნაზია დავამთავრე. ყოველთვის მაინტერესებდა ადამიანის შინაგანი სამყარო, ამიტომ ფსიქოლოგიის შესწავლა გადავწყვიტე და რადგან ფსიქოლოგიის ყველაზე კარგი სკოლა თსუ-ს აქვს, აქ ჩავაბარე. მინდა, რომ მაქსიმალურად მივიღო ის ცოდნა, რასაც აკადემიური პერსონალი მომაწვდის. კვლევებიც მაინტერესებს. მგონია, რომ ქართული ფსიქოლოგია ჯერ კიდევ კარგად არ არის განვითარებული და მეც მსურს ამ პროცესში ჩემი წვლილი შევიტანო.

სანამ თსუ-ის III კორპუსში მოვიდოდი, ცოტა შემაშინეს და მითხრეს, რომ არც თუ ისე კარგი გარემო დამხვდებოდა, მაგრამ აქაურობა ძალიან მომწონს — მყუდროა და მშვენიერი სიტუაციაა.

შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილი კინომანი ვარ. ზოგადად, განსაკუთრებული მეხსიერებით არ გამოვირჩევი, მაგრამ არასდროს მავიწყდება რეჟისორების, ფილმების, მსახიობების სახელები. ...ხანდახან კალათბურთსაც ვთამაშობ... ეს ჩემი განტვირთვის საშუალებებია“.

თამარ მანთიძე, მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „ყოველთვის მინდოდა, რომ ექიმი ვყოფილიყავი, ჩემი საყვარელი თამაშიც „ექიმობანა“ იყო. დედა მედიცინის სპეციალისტია და, ალბათ, ამანაც მოახდინა გავლენა. როდესაც ადამიანის ანატომიას გავეცანი, უფრო მეტად დავინტერესდი, უფრო მეტიც, გაოცებულიც კი ვიყავი, იმდენად ბევრი სიახლე აღმოვაჩინე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ძლიერი პროფესორები ასწავლიან, კარგი სასწავლო პროგრამაა, ბევრი გაცვლითი პროგრამაც მოქმედებს, ამიტომაც უმაღლესი სასწავლებლის შესარჩევად ბევრი არ მიფიქრია. მიყვარს ექიმის პროფესია, უფრო მეტად კარდიოლოგია და ნევროლოგია მაინტერესებს. მინდა, ძლიერი სპეციალისტი გამოვიდე.

იმერეთის სოფელ კვალითის საჯარო სკოლა დავამთავრე. აბიტურიენტობისას გიჟური რეჟიმი არ მქონია. თავისუფალ დროს, ძირითადად, ვხატავ. თუმცა, ძალიან მიყვარს მხატვრული ლიტერატურა და კლასიკური მუსიკის მოსმენა“.

მარიამ თხინვალელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „თბილისის ვახტანგ გზირიშვილის სახელობის 173-ე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, ოქროს მედლით დავამთავრე. ყველა საგანში არ მოვმზადებულვარ. გადავწყვიტე, რომ ზოგად უნარებს თავად შევჭიდებოდი და შედეგით კმაყოფილი ვარ. ჰუმანიტარული თუ ტექნიკური საგნების სწავლა ჩემთვის რთული არასდროს ყოფილა, ამიტომ სპეციალობის შერჩევისას დიდხანს ვფიქრობდი. ბოლოს მივხვდი, რომ ლიტერატურასთან გაცილებით ახლოს ვიყავი, ოლიმპიადებშიც რამდენჯერმე გავიმარჯვე. ამან მიბიძგა და ქართული ფილოლოგია ავირჩიე. შემდეგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებზე აღარც მიფიქრია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია. გადაწყვეტილი მაქვს ქართული ენის მეცნიერული შესწავლა, მინდა საკუთარი თავი ამ საქმეს მივუძღვნა, ასევე, ძალიან მაინტერესებს ლიტერატურათმცოდნეობაც. წიგნების კითხვა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება კი ყველაზე საყვარელი განტვირთვის საშუალებაა.

თავისუფალ დროს პიანინოზე ვუკრავ ან ფილმებს ვუყურებ. მიყვარს იაპონური ანიმეც, განსაკუთრებით — „ციცინათელების სასაფლაო“. ეს ანიმაციური ფილმი საუკეთესოა“.

ანა აბრამიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „თბილისის 175-ე საჯარო სკოლა დავამთავრე, რეპეტიტორებთან ბოლო ერთი წელი ზოგად უნარებსა და ქართულ ენაში მოვემზადე. გეოგრაფია და ინგლისური ენა სკოლის პროგრამით ვისწავლე. ვფიქრობ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები არ არის იმ სირთულის, რომ რეპეტიტორის გარეშე ვერ ჩააბარო, მაგრამ XII კლასში დიდი მასალაა და ამიტომ დროის უკეთ გადასანაწილებლად რეპეტიტორებს მივმართე. რეგისტრაციამდე ორი კვირით ადრე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა ავირჩიე, რაც საშუალებას მომცემს, რომ ბევრი ქვეყანა ვნახო და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი კადრი გავხდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბევრი კარგი გაცვლითი პროგრამა აქვს, ამიტომაც ავირჩიე ეს უნივერსიტეტი. სამეცნიერო კვლევებიც მაინტერესებს, ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა გავხდე მეცნიერი.

მხატვრული ლიტერატურა მიყვარს, ხანდახან ვხატავ. გეოგრაფიის საგანი კი იმდენად მიყვარს, რომ ჰობად აღვიქვამ. გეოგრაფიული ინფორმაციის მოძიება, კითხვა, გარჩევა ჩემთვის განტვირთვას უდრის“.

მოამზადა ***ნატო ოგოლაძემ***

რა სიახლეებით ვხვდებით ახალ სასწავლო წელს?

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე

უპირობო ლიდერი საერთაშორისო რანჟირებებში

ჩვენი უნივერსიტეტი კავკასიის მასშტაბით კვლავ უპირობო ლიდერია. სერიოზულ საერთაშორისო რეიტინგებში ყველაზე მაღალი შეფასებები გვაქვს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან და რეგიონიდან, რომელიც უკვე მესამე წელია წარმოდგენილია Times Higher Education მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში. თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოსა და რეგიონში, რომელიც საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის; და ასევე პირველია რეგიონში the QS Eastern Europe and Central Asia University Rankings 2019 და Round University Ranking 2019-ის მიხედვით; აღსანიშნავია ასევე, რომ ჩვენი უნივერსიტეტი კარგ პოზიციებს ინარჩუნებს შანხაის რეიტინგებშიც. თსუ ფიზიკის დეპარტამენტი კი მსოფლიოს 500 საუკეთესო უნივერსიტეტში არის და ასევე ლიდერია რეგიონში 151-200 ადგილით (Academic Ranking of World Universities by ShanghaiRanking).

ზოგადად, რანჟირების შედეგების ანალიზის მიხედვით, თსუ-ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე საერთაშორისო ცნობადობაა. თსუ-ის პარტნიორების რიცხვი მსოფლიოს 50 ქვეყანაში 200-ს აღწევს; 2019-2021 წლებში 125 უნივერსიტეტთან მომზადდა „ერაზმუს+“-ის საპროექტო განაცხადი; თსუ 26 ქვეყანაში 85 პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს Erasmus+ ICM პროექტის ფარგლებში, განხორციელებულია 1146 მობილობა; 2015-2018 წლებში თსუ-ის 800-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში — ამ მონაცემებითაც თსუ ლიდერია საქართველოში.

ავტორიზაცია და აკადემიური თავისუფლება

2018-2019 წლები თსუ-სთვის და, ზოგადად, საქართველოს უნივერსიტეტებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უპირობო 6 წლიანი ავტორიზაცია მიენიჭა, რაც, ცხადია, დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს.

სიახლეა ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა განიხილა და მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა — კონსტიტუციაში შევიდა შესწორება, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიურ თავისუფლებას და უნივერსიტეტების ავტონომიას.

2019 წელს წარმატებით ჩატარდა აკადემიური კონკურსები. ფაკულტეტების მიხედვით, სხვადასხვა კონკურსში სულ 200-მდე აპლიკანტი მონაწილეობდა. მართალია, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ მხოლოდ 14 შემთხვევას განიხილავს სასამართლო.

თსუ — აბიტურიენტთა პირველი არჩევანი

წელსაც, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, აბიტურიენტების პირველი არჩევანის მიხედვით თსუ კვლავ ლიდერი გახლდათ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, აბიტურიენტების რეგისტრაციის დასრულებისას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ პრიორიტეტად 10 260 აბიტურიენტმა დაასახელა. თსუ მეორე და მესამე არჩევანშიც პირველი იყო. შესაბამისად, გამოცდების გზით, წელს კიდევ უფრო გაიზარდა ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და ეს იმ ფონზე, როდესაც, ზოგადად, მცირდება აბიტურიენტების რიცხვი ქვეყანაში. გარდა ამისა, არც ერთ კომპრომისზე არ წავსულვართ და ის ზღვარი, რომელიც გვაქვს დაწესებული, არის ძალიან მაღალი და არ ჩამოგვიწევია. უფრო მეტი ადამიანი ირჩევს თსუ-ს, რაც პოზიტიური მაჩვენებელია. თუმცა ჩვენ გვახსოვს გარკვეული წარუმატებლობაც, როდესაც პირველკურსელთა შედარებით მცირე ნაკადი მივიღეთ. ასეთი კრიტიკული სასწავლო წელიწადი იყო 2016-2017-ში. შემდეგ კი დავიწყეთ აღმასვლა. დღეს უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტსა და საერთაშორისო სკოლა ISET-ში სწავლობს 22 000-ზე მეტი სტუდენტი; მოქმედებს 210-ზე მეტი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 21 უცხოენოვანი. იზრდება უცხოენოვან სტუდენტთა რაოდენობაც.

სამეცნიერო კვლევა უნივერსიტეტში

გვაქვს შთამბეჭდავი სტატისტიკა ჩვენი მეცნიერების მიერ გრანტების მოზიდვის თვალსაზრისით: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული პროექტების 50% თსუ მეცნიერების მონაწილეობითა და ავტორობით ხორციელდება; ეს არის ძალიან კარგი შედეგი, თუმცა ამ შედეგის გაუმჯობესებაზეც ვფიქრობთ. უნივერსიტეტის მეცნიერები ჩართული არიან არაერთ მსხვილ საერთაშორისო პროექტში, მათ შორის, როგორიცაა CERN-ის დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ATLAS-ექსპერიმენტი, იულიხის კვლევით ცენტრში (გერმანია) და იაპონიის პროტონების ამაჩქარებელთა კომპლექსზე (J-PARC) მიმდინარე JEDI და COMET ექსპერიმენტები და სხვა. ყოველწლიურად უნივერსიტეტში 200-ზე მეტი სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება, რომელშიც სტუდენტებს პირველი კვლევითი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ; ინოვაციურ კვლევებში ჩართვა და საკუთარი იდეების განხორციელება მათ მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე მეტად კონკურენტუნარიანად აქცევს.

„აკადემია ევროპეას“ ჰაბი

ჩვენთვის ძალიან საამაყო და მისასალმებელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აკადემია ევროპეას“ ჰაბი გაიხსნა. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ევროგაერთიანების გარეთ შეიქმნა ასეთი წარმომადგენლობა და ეს მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია

2019 წელს დაფუძნდა რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო უნივერსიტეტების ყველა რექტორს. რექტორებთან ერთად, კონფერენციის პირველ სხდომას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ. დამფუძნებელ სხდომაზე წევრებმა 2 წლის ვადით თავმჯდომარედ, ამჯერად, მე ამირჩიეს. უმაღლესი სასწავლებლებისთვის ეს გაერთიანება წარმოადგენს პლატფორმას, სადაც განიხილება უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული საჭირბოროტო საკითხები: უნივერსიტეტების დაფინანსება, რეფორმების მხარდაჭერა თუ სხვა. ეს საკითხები უნდა განვიხილოთ პროფესიულად და კონსოლიდირებული პოზიციით წარვდგეთ საზოგადოებისა და იმ მოკავშირეების წინაშე, რომელიც ჰყავს უმაღლეს სკოლას. სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორები მოამზადებენ ერთობლივ საკანონმდებლო ინიციატივებსა თუ კომენტარებს და შეაჯერებენ პოზიციებს განათლების რეფორმებთან მიმართებაში. შემდეგი შეხვედრა ჩატარდება შემოდგომის დასაწყისში, სავარაუდოდ, ბათუმში, სადაც კონკრეტულ საკითხებს განვიხილავთ. შევთანხმდით იმაზე, რომ ეს ფორმატი ღია იქნება კერძო უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც. ამის თაობაზე ვიმსჯელებთ ბათუმის კონფერენციაზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ბევრი სიახლე გვაქვს. მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან უნივერსიტეტის II კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთვის 25 მილიონი ლარი გამოყო. ვინაიდან II კორპუსს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, საკმაოდ რთულია აქ სამუშაოების წარმართვა, თუმცა უამრავი რამ უკვე გაკეთდა — ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები, გამოიცვალა სახურავი, დამონტაჟდა გათბობის ახალი სისტემა, მოეწყო სველი წერტილები, მოწესრიგდა ფასადი, შეიცვალა ფანჯრები და ა.შ. ახლა დარჩა შიდა სამუშაოები. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს. ამიტომ დარჩენილი სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება.

ასევე, დასრულების ფაზაში შევიდა მაღლივი კორპუსისა და VI კორპუსის ფოიეების კეთილმოწყობა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ნაწილის რეკონსტრუქცია.

ალბათ იცით, რომ უკვე მეორე წელია თსუ-ში სტუდენტთა ახალი საცხოვრებელი ამოქმედდა. საერთო საცხოვრებელი 320 ადგილიანია და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. კომპლექსი მოიცავს 3 საცხოვრებელ კორპუსს და ადმინისტრაციულ შენობას, ასევე კაფეტერიას, საკონფერენციო ოთახს, სამედიცინო პუნქტს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერების ოთახს, სამრეცხაოს და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურას. შენობის გარეთ მოწყობილია ღია ტიპის სპორტული მოედანი, გარე ტრენაჟორები.

ასევე, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თბილისში, თსუ-ის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე 3000 სტუდენტზე გათვლილი საერთაშორისო სტანდარტის ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდება.

სტუდენტური პროექტები

2017 წელს მივიღეთ გადაწყვეტილება და მას შემდეგ უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს საგრანტო კონკურსის საფუძველზე. პროექტებს ამტკიცებს შვიდკაციანი საბჭო თსუ-ის რექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით. საბჭოში თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტების პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შედიან.

2017-2018 წლებში სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ წარმოდგენილი 300-მდე პროექტი (სამეცნიერო, კულტურული და სპორტული ღონისძიებები და აქტივობები) დაფინანსდა. სტუდენტური პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა 1,4 მილიონი ლარი შეადგინა.

„93-ე აუდიტორია“ — კლუბი ლიტერატურის მოყვარულთათვის

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლუბი „93-ე აუდიტორია“ აღდგა. ამ აუდიტორიაში უნივერსიტეტის ისტორიის მანძილზე საინტერესო ლიტერატურული ღონისძიებები, ახალგაზრდა მწერალთა შეხვედრა-დისკუსიები იმართებოდა. ტრადიციის შესაბამისად, აუდიტორია კვლავ კრებს ლიტერატურის მოყვარულებს. პირველი შეხვედრები აქ პოეტებთან დავით მაღრაძესთან და ტარიელ ხარხელაურთან გაიმართა.

მოამზადა **ნინო კაკულიამ**

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია დაფუძნდა. კონფერენციის პირველ სხდომას სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ. დამფუძნებელ სხდომაზე წევრებმა 2 წლის ვადით თავმჯდომარედ, ხმათა უმრავლესობით, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე აირჩიეს.

გიორგი შარვაშიძის თქმით, უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანება არის ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.

„უმაღლესი სასწავლებლებისთვის ეს გაერთიანება წარმოადგენს პლატფორმას, სადაც განიხილება უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული ბევრი საჭირბოროტო საკითხი: უნივერსიტეტების დაფინანსება, რეფორმების მხარდაჭერა თუ სხვა. ეს საკითხები უნდა განვიხილოთ პროფესიულად და კონსოლიდირებული პოზიციით წარვდგეთ საზოგადოებისა და იმ მოკავშირეების წინაშე, რომელიც ჰყავს უმაღლეს სკოლას“.

წლევანდელი წელი საინტერესო იყო განათლებისთვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო კიდევ უფრო უახლოვდება ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლებისა და კვლევის სფეროს. „ამ ეტაპზე, გაერთიანებაში მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები არიან, თუმცა ჩვენი კარი ღიაა და, ვიმედოვნებთ, კერძო უმაღლესი სასწავლებლებიც შემოგვიერთდებიან“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ზურაბ ვადაჭკორიას განცხადებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები მოამზადებენ ერთობლივ საკანონმდებლო ინიციატივებსა თუ კომენტარებს და შეაჯერებენ პოზიციებს განათლების რეფორმებთან მიმართებაში. „ეს გაერთიანება შესაძლებლობას იძლევა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, რომლებსაც პრაქტიკულად მსგავსი პრობლემები გვაქვს, ვიმსჯელოთ მათზე, ჩამოვაყალიბოთ საერთო აზრი და დავაყენოთ ეს საკითხები საქართველოს მთავრობისა და განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს წინაშე“, — აღნიშნა ზვიად ვადაჭკორიამ.

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია გაიზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის „Magna Charta Universitatum“ ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ — აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტების ავტონომიურობა, ევროპული და ეროვნული ჰუმანისტური ტრადიციების გაზიარება, სწავლების და კვლევის ინტეგრაცია და სხვა.

რექტორთა მსგავსი გაერთიანება მრავალ ევროპულ ქვეყანაში არსებობს.

თსუ-ის არქეოლოგების ახალი აღმოჩენა

თსუ-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სვანეთში, სოფელ ბოგრეშში ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული ნამოსახლარი აღმოაჩინა. მდინარე ენგურის ხეობას კიდევ ერთი, წინარე ანტიკური ხანის გორა ნამოსახლარი შეემატა. ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის ზვიად კვიციანის თქმით, „ასეთი გორა ნამოსახლარი აქამდე მდინარე ენგურის ხეობაში მხოლოდ სოფელ ხაიშში, ნაკრაში, უშგულსა და ეცერში იყო, წელს კი სოფელ ბოგრეშშიც აღმოჩნდა. ძეგლი მრავალფენიანია, თუმცა ჯერჯერობით გამოყოფილია ორი ფენა: ძვ.წ VIII-VI საუკუნეების ნამოსახლარი და შუა საუკუნეების ხანის სამაროვანი“. მისივე ინფორმაციით, გვიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული ფენის ნაწილი მეწყერმა და საგზაო სამუშაოებმა გაანადგურა, თუმცა არქეოლოგმა იმედი გამოთქვა, რომ სამომავლო არქეოლოგიური ექსპედიცია ამ ფენასაც გამოიკვლევს.

მესტიის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1979 წელს დაიწყო, როდესაც მესტია-უშგულის საავტომობილო გზის გაყვანის დროს ბრინჯაოს ხანით დათარიღებული თიხის ჭურჭელი (შუბის პირი, სამაჯურები, მძივები) აღმოაჩინეს. მომდევნო წლებში გათხრებისას აღმოჩენილი არტეფაქტების საფუძველზე ეს ადგილი ბოგრაშის სამაროვნად ითვლებოდა, თუმცა, მოგვიანებით, 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაჩნდა ვარაუდი, რომ ეს იყო ნამოსახლარი და არა სამაროვანი. წლევანდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კი ეს ვარაუდი დაადასტურა. თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია სახურავი, იატაკი, ორნამენტირებული კერამიკა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებით თარიღდება.

თსუ-ის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორებისა და სტუდენტებისგან არის შემდგარი. თსუ-ის სტუდენტი მარიამ ჩხიტუნიძე ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილეა, რომელიც არქეოლოგიურ სამუშაოებში წელს პირველად მონაწილეობდა. „ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ექსპედიციაში მონაწილეობა, რადგან ეს ძეგლი ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავდება, თუნდაც თავისი მდებარეობით. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა შედეგი გამოიღო და ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაკეთდა. ვამაყობ, რომ ამ საქმეში სულ მცირე წვლილი მაინც შევიტანე“, — ამბობს მარიამი.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან შემდგარი სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია მესტიის მუნიციპალიტეტში 2011 წლიდან მუშაობს. ექსპედიცია სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ხორციელდება.

თსუ-სა და შპაიერის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები გამოცდილების მისაღებად გერმანიასა და საფრანგეთს ეწვივნენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობის 39 სტუდენტი ქ. შპაიერში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ლექციების გარდა, სტუდენტებისთვის გაიმართა ოფიციალური შეხვედრები და ექსკურსიები. სტუდენტები ეწვივნენ ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო და ადგილობრივ ინსტიტუციებს, როგორიცაა: ევროპარლამენტი და ევროსაბჭო სტრასბურგში, ევროპის ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში, მაინცის შინაგან საქმეთა სამინისტრო და რაინალდ-პფალცის პარლამენტი, აუდიტის სამსახური შპაიერში და ადმინისტრაციულ საქმეთა უზენაესი სასამართლო მანჰაიმში.

ინტერდისციპლინური, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტსა და ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება 2009 წლიდან. საზაფხულო სკოლა თსუ-ის, ფოლკსვაგენის ფონდისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 5-18 აგვისტოს პერიოდში გაიმართა შპაიერში. საზაფხულო სკოლაში 2017 და 2018 წელს პროგრამაზე ჩარიცხული თსუ-ის 39 სტუდენტი და ოდესის (უკრაინა) უნივერსიტეტის 5 სტუდენტი მონაწილეობდა.

თსუ-სა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ წელსაც ელოდება ახალ სტუდენტებს.

მასალები მოგვაწოდა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

თსუ-ის ბაკალავრიატის გამოშვება – 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წელს ბაკალავრიატის 3000-მდე კურსდამთავრებული ჰყავს. 2019 წლის გამოშვების საზეიმო ღონისძიება სპორტის სასახლეში გაიმართა.

კურსდამთავრებულებს სწავლის დამთავრება თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა, აკადემიური საბჭოს წევრებმა და ფაკულტეტების დეკანებმა მიულოცეს.

თსუ-ის ბაკალავრიატის 2019 წლის კურსდამთავრებულებს საზეიმო ღონისძიებაზე რექტორმა გიორგი შარვაშიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

ეს მსოფლიო თქვენია!

„ჩვენ ძალიან ხშირად ვამაყობთ, რომ ვართ პირველი უნივერსიტეტი კავკასიაში. დღემდე თსუ არის ჩემპიონი ნამდვილად ნებისმიერ რეიტინგში, მაგრამ ეს არ არის მთავარი. თსუ არის ჩემპიონი სხვა რამეში — ამ სხვა რამეს ჰქვია სიყვარული, ამ სხვა რამეს ჰქვია თავისუფლება. იყო თსუ-ელი, ნიშნავს იყო თავისუფალი პიროვნება“, — ამ სიტყვებით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თსუ-ის ბაკალავრიატის 2019 წლის კურსდამთავრებულებს საზეიმო ღონისძიებაზე. რექტორის თქმით, ეს დღე განსხვავებული და განსაკუთრებულია თითოეული უნივერსიტეტელის ცხოვრებაში, რადგან თსუ-ის კურსდამთავრებულების 300 ათასიან არმიას კიდევ 3000-მდე კურსდამთავრებული შეუერთდა.

გიორგი შარვაშიძემ პირველ რიგში კურსდამთავრებულებს მიულოცა და აღნიშნა, რომ მათ სირთულეების მიუხედავად შეძლეს ბაკალავრიატის საფეხურის წარმატებით დასრულება. რექტორმა საზეიმო დღე ასევე მიულოცა მშობლებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

„ყველაზე კარგი სიტყვა, რომელიც ოდესმე მომისმენია, ეკუთვნის ადამიანს, რომელსაც საერთოდ არ ჰქონია ფორმალური განათლება, არც კოლეჯი დაუმთავრებია და არც უნივერსიტეტი. ეს იყო სტივ ჯობსი. მიუხედავად ამისა, სიტყვაში რომელიც მან წარმოთქვა სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან თქვა ყველაზე მთავარი და ეს ყველაზე მთავარი არის ის, რომ ეს მსოფლიო თქვენ გეკუთვნით. არ არსებობს არავითარი შეზღუდვა. ეს მსოფლიო თქვენია! ეს ქვეყანა თქვენია! თქვენ ხართ ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე, თქვენ ქმნით ამ ხვალინდელ დღეს!

კიდევ ერთი რამ, რაც დღეს აუცილებლად მინდა ვთქვა. გარდა იმისა, რომ თქვენ ხართ უზარმაზარი ოჯახის წევრები, თსუ-ს კარი ყოველთვის ღიაა თქვენთვის. ბევრი თქვენთაგანი დაბრუნდება თსუ-ში მაგისტრატურაში, ბევრი თქვენთაგანი გახდება დოქტორანტი, ბევრი თქვენთაგანი გახდება პროფესორი, ბევრი თქვენთაგანი გახდება აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგიერთი თქვენთაგანი გახდება თსუ-ის რექტორი. მინდა ყოველთვის იცოდეთ, რომ თქვენ ხართ ერთი დიდი ოჯახის წევრები და ეს ერთი დიდი ოჯახი არის ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები“, — განაცხადა რექტორმა.

გიორგი შარვაშიძის თქმითვე, თსუ-ის კურსდამთავრებულები ყველგან არიან — საჯარო თუ კერძო სექტორში და ისინი ყოველთვის, ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში დაეხმარებიან კურსდამთავრებულთა დიდი ოჯახის წევრებს.

„დღეს თქვენ იწყებთ თქვენი მომავლის შენებას, არა მხოლოდ საკუთარი მომავლის, თქვენი ქვეყნის მომავლის შენებას. მინდა წარმატება გისურვოთ ამ მომავლის შენებაში!

ახლა თქვენ ძალიან ცოტა რამ გაშორებთ იმ მომენტს, როდესაც თქვენს ქუდებს ააგდებთ ისე მაღლა, რამდენადაც შეძლებთ და იცოდეთ, აქ არის ერთი საიდუმლოება — რაც უფრო მაღლა ააგდებთ ქუდს, მით უფრო მაღალი იქნება თქვენი წარმატება ცხოვრებაში.

ახლა კი, კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ დღევანდელი წარმატება და მინდა გისურვოთ, რომ ეს წარმატება იყოს უამრავი წარმატების საწინდარი თქვენ ცხოვრებაში.

გახსოვდეთ თსუ!“

* * *

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, თსუ-ის კურსდამთავრებულმა მარიამ ჯაშმა ბაკალავრებს პირველი აკადემიური ხარისხის მოპოვება მიულოცა. „განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა, რომ ხარ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მისასალმებელია, რომ თსუ მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-შია, დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება გზა რეფორმებით და იმ ახალი სტანდარტების დანერგვით, რომელიც ჩვენ ევროპასთან დაგვაახლოებს“, — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

ფაკულტეტების ყველაზე მაღალრეიტინგულ კურსდამთავრებულებს სპეციალური სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანებმა გადასცეს.

* * *

„დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა აქ ყოფნა. ეს 4 წელი ჩემთვის იყო ძალიან დიდი გამოცდილება და თავგადასავალი. უნივერსიტეტში მივიღე პრაქტიკული თუ თეორიული გამოცდილება, გავიცანი ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი, მყავდა არაჩვეულებრივი ლექტორები, რომელთაც არა მარტო ჩემს პროფესიულ ზრდას შეუწყვეს ხელი, არამედ ჩემს პიროვნულ განვითარებასაც“, — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას თსუ-ის წარჩინებულმა კურსდამთავრებულმა მარიამ მაჭარაშვილმა.

ბაკალავრების გამოსაშვები დღის დასკვნითი ღონისძიება კუს ტბაზე გაიმართა. საღამოზე კურსდამთავრებულებისთვის და თსუ-ის სტუდენტებისთვის კონცერტი სტეფანემ და Dj-ებმა Giorgio Burduli, Frankie Beatnik, Levi Love Disco გამართეს.

უნიკალური აღმოჩენა – ცხოველის ნაშთიდან აღებული მსოფლიოში ყველაზე ძველი დნმ დმანისში

1-ლი გვერდიდან

დმანისში აღმოჩენილი უძველესი მარტორქის ბიომოლეკულარული კვლევების შესახებ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი „Nature“ აქვეყნებს სტატიას სათაურით: Early Pleistocene enamel proteome from Dmanisi resolves Stephanorhinus phylogeny — დმანისში აღმოჩენილი ადრეპლეისტოცენური პერიოდის მარტორქის კბილის მინანქრიდან მიღებულმა პროტეონმა ახსნა უძველესი ფიოლოგენეზისი.

მეცნიერთა თქმით, ესაა გარღვევა უძველეს ბიომოლეკულარულ კვლევებში, რაც საშუალებას აძლევს მეცნიერებს აღადგინონ ბევრად ადრეული ეპოქების ევოლუციური სურათი, ვიდრე ეს დღემდე იყო შესაძლებელი, ასევე, გამოიკვლიონ ცხოველების და ადამიანის წინაპრის ისტორია“.

„ეს არის უდიდესი აღმოჩენა. მინდა მივულოცო ყველას, ვინც მონაწილეობდა უნიკალურ კვლევაში წლების განმავლობაში, 1980-იანი წლებიდან პროფესორ აბესალომ ვეკუათი დაწყებული, დღეს თსუ-ის პროფესორ დავით ლორთქიფანიძით დამთავრებული. ეს არის ის აღმოჩენა, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ დაიბადა ახალი მეცნიერება, ახალი მიმართულება მეცნიერებაში — მოლეკულარული პალეონტოლოგია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

დმანისის პროექტის მხარდამჭერები არიან შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მასალა მოგვაწოდა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

მისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა

მაია ტორაძე

„ალბათობის თეორია და სტატისტიკა“, — 9 სექტემბერს ამ სახელწოდებით გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის და პედაგოგის, საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის დამფუძნებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, ახალი ზელანდიის სამეფო აკადემიის წევრის, ახალი ზელანდიის ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორის ესტატე ხმალაძის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ალბათობის თეორიასა და სტატისტიკაში მოღვაწე მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან.

საიუბილეო კონფერენციაზე გამომსვლელებმა სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობასა და მეცნიერების წინაშე მის დამსახურებაზე ისაუბრეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ხაზგასმით აღნიშნა ესტატე ხმალაძის უნივერსიტეტის წინაშე გაწეული ღვაწლი და აღნიშნა, რომ უკვე წლებია, მისი სახელობის სტიპენდიით არაერთი სტუდენტი სარგებლობს: „უნივერსიტეტში ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდია არის დაწესებული. ბევრი მაგისტრანტი უკვე გახდა მისი სახელობის სტიპენდიატი. ბატონი ესტატე სტუდენტებს ხელს უწყობს, რომ მიიღონ მაღალი დონის განათლება სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებსა და ცენტრებში“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

პროფესორი ესტატე ხმალაძე ნაყოფიერად თანამშრომლობს თსუ-სთან. იგი აქტიურად ეძებს ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს და აგზავნის მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. იგი რეგულარულად და უსასყიდლოდ გადასცემს უნივერსიტეტს თანამედროვე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს, მათ შორისაა ჟურნალები: „Annals of Probability“, „Annals of Statistics“ და „Applied Probability“. პროფესორმა ხმალაძემ 2007 წელს დააარსა თავისივე სახელობის სტიპენდია თსუ-ის წარჩინებული მაგისტრებისათვის. ფაკულტეტს უკვე ჰყავს ამ სტიპენდიის მფლობელი არაერთი მაგისტრი როგორც მათემატიკის, ისე ფიზიკის მიმართულებიდან.

ტილბურგის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ეინმაჰალმა (John Einmahal) გაიხსენა ესტატე ხმალაძესთან თანამშრომლობის ასპექტები და აღნიშნა, რომ ის არის მეცნიერი, რომელსაც სურს სიღრმისეულად იკვლიოს საკითხები, რაზეც წერს, და რაც მთავარია, შეხედოს მათ განსხვავებული კუთხით: „რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს სურს იყოს იმ ადამიანის მეგობარი, რომელმაც დღეს უნივერსიტეტის ოქროს მედალი მიიღო. მეამაყება, რომ ჩვენ დღეს ვმონაწილეობთ კონფერენციაში, რომელსაც „ხმალაძე 75“-ს ვეძახით. ეს მეტად საპასუხისმგებლოა. ბატონი ესტატე 1989 წელს გავიცანი და მაშინვე მოვიხიბლე მისი საინტერესო კითხვებით. მასთან ურთიერთობის წლებმა დამარწმუნა, რომ პროფესორ ხმალაძისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა“, — განაცხადა პროფესორმა ეინმაჰალმა.

ესტატე ხმალაძე

ესტატე ხმალაძეს იუბილე მიულოცა აკადემიკოსმა გიორგი ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უცხოელი მეცნიერების ჩამოსვლა და კონფერენციებში მონაწილეობა სტიმულის მიმცემია ახალგაზრდა თაობისთვის: „მთავარი, რაც აქ შეიძლება გაკეთდეს, არის ის, რომ ჩვენი ახალგაზრდები დავაინტერესოთ მათემატიკით, მეცნიერებით. მადლობა ამ კონფერენციისთვის, რადგან ეს არის ის ღერძი, რითაც ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ მაღალი სამეცნიერო დონე“, — აღნიშნა მან.

ესტატე ხმალაძის საიუბილეო კონფერენცია

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს, ასევე, მათემატიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტმა დავით ნატროშვილმა, გიორგი აბაშიძემ, ბესიკ ჩიქვინიძემ.

თსუ-ის სამეცნიერო პოტენციალის საზღვარგარეთ წარმოჩენაში, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის პროფესორ ესტატე ხმალაძეს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადაეცა.

კონფერენციაზე, რომელიც ესტატე ხმალაძის 75 წლისთავს მიეძღვნა, მნიშვნელოვანი მოხსენებები იყო წარმოდგენილი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკა შესთავაზეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილე კოლეგებს.

იუბილე

მან შეუძლებელი შესაძლებელი და შესაძლებელი ხელმისაწვდომი გახადა

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ ცერცვაძე, მეცნიერი, რომელმაც საქართველო აივ/შიდსის ფართო მასშტაბიანი ეპიდემიისგან იხსნა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა დანერგა, გადაარჩინა 100-ობით ადამიანის სიცოცხლე და ქართული მედიცინა ახალ საფეხურზე აიყვანა, 70 წლის შესრულდა. მადლობა საკუთარი და ხალხის სახელით საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა და სამეცნიერო საზოგადოებამ მას უნივერსიტეტში გამართულ იუბილეზე გადაუხადეს.

საქართველოში აივ/შიდსის სამსახურის ფუძემდებელმა, თსუ-ის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ XXI საუკუნის ორ მთავარ გამოწვევასთან — აივ/შიდსთან და C ჰეპატიტთან ბრძოლა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. სამედიცინო-პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად იგი, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მკვლევარია — არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში, მისი ავტორობით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო და ორი მონოგრაფია. ასევე, იყო 20-ზე მეტი ეროვნული სახელმძღვანელო რეკომენდაციების/გაიდლაინების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და თანაავტორი.



„ჩვენ, ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მხოლოდ ამერიკაში იყო ცნობილი შიდსის დაავადების შესახებ, 83-84 წლებში დავაფუძნეთ შიდსის სამსახური საქართველოში, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სამსახურად ითვლება. ამ სამსახურის ძალისხმევით საქართველომ თავიდან აიცილა აივ/შიდსის ფართო მასშტაბიანი ეპიდემია, დიდი ადამიანური მსხვერპლი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. ამავე დროს ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი ინიციატორი და განმახორციელებელი მსოფლიოში უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა, რომელიც წარმატებით ხორციელდება. უკვე განკურნებულია 40 000-ზე მეტი პაციენტი. პროგრამის დასრულებამდე იგეგმება 120 000-ზე მეტი პაციენტის განკურნება და ეს იქნება პირველი შემთხვევა მსოფლიოში, როდესაც ერთი ქრონიკული ინფექციის აღმოფხვრა მოხერხდა. აქამდე მხოლოდ მწვავე ინფექციების განკურნება იყო შესაძლებელი, მაგალითად, ყვავილის და ისიც არა ვაქცინის, არამედ მედიკამენტის საშუალებით. ის, რაც დაგეგმილი გვაქვს, თუ წარმატებით განხორციელდა, მაშინ 2030 წლისთვის საქართველო იქნება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც დაძლეული იქნება ერთდროულად XXI საუკუნის ორი მთავარი ეპიდემია — აივ/შიდსი და C ჰეპატიტი“, — აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

„მან შეუძლებელი შესაძლებელი გახადა და ეს შესაძლებელი გახადა ყველასთვის ხელმისაწვდომი“, — ასე დაახასიათა ქართველი მეცნიერის მოღვაწეობა პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ და მას უწოდა ექიმი, რომელმაც სასოწარკვეთილ პაციენტებს სიცოცხლის იმედი დაუბრუნა: „მაშინ, როდესაც აივ/შიდსი მსოფლიოსთვის გამოჩნდა, როგორც თავზარდამცემი პრობლემა და როდესაც ბევრი ადამიანი, რომელმაც თავისი დაიგნოზი პირველად გაიგო, მოიცვა უიმედობამ, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა დაახვედრეს გამბედავი და თავდაჯერებული მეცნიერები. ბატონი თენგიზის დამსახურებით ამ ქვეყნებს შორის საქართველოც იდგა. ქართველ პაციენტებსაც გაუჩნდათ იმედი, რომ ეს დაავადება მართვადია და არა სასიკვდილო. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასაც ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ ბატონმა თენგიზმა თქვა, რომ შევძლებთ და დაასაბუთა და დაამტკიცა ამ საქმის შეუძლებლობის შესაძლებლობა. შედეგად, დღეს საქართველოში C ჰეპატიტისა და აივ/შიდსის დიაგნოსტიკა-მკურნალობა უფასო და ხელმისაწვდომია.

თენგიზ ცერცვაძე

თენგიზ ცერცვაძე კარგად ხედავს, რომ ტრადიციულ მეცნიერებასთან, სიბრძნესთან ერთად, ასევე საჭიროა თამამი იდეები, რისკი და გამბედაობა, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

თენგიზ ცერცვაძის თაოსნობით საქართველოში ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკის და მკურნალობის პრაქტიკულად ყველა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მეთოდი დაინერგა, რაც C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის საქართველოს პირველ სამოდელო ქვეყნად არჩევას დაედო საფუძველი.

უნივერსიტეტში გამართულ საიუბილეო საღამოზე თენგიზ ცერცვაძე ჯანმრთელობის სფეროს დაცვის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ბრწყინვალების ორდენით“ დააჯილდოვა. ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა C ჰეპატიტთან ბრძოლაში საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

„ჩვენი საზოგადოების მხრიდან ყველაზე დიდი მადლობა იქნება ის, რომ ბოლომდე გავიაროთ გზა, რომელიც C ჰეპატიტის დამარცხებამდე დარჩა და დროულად ჩაიტარონ დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ბატონი თენგიზი სამაგალითო ადამიანია, ზუსტად ისეთი, როგორიც ახლა ჩვენს საზოგადოებას სჭირდება — პასუხისმგებლიანი და შეუპოვარი. მან დაამარცხა ორი ძალიან მძიმე სენი, რაც არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც დიდი წარმატებაა“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თენგიზ ცერცვაძეს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ივანე ჯავახიშვილის მედალი გადასცა.

გვ. 11

ფაკულტეტებზე

რა სიახლეებით ხვდებიან ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?

მაია ტორაძე,
თამარ დადიანი

ყველა მაჩვენებლით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროგრამები ინარჩუნებენ საუკეთესო პოზიციებს სამართლის პროგრამებს შორის

თამარ ზარანდია,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— მინდა ყველა უნივერსიტეტელს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება, განსაკუთრებით იმ პირველკურსელებს, რომლებმაც წელს პირველად შემოაღეს უნივერსიტეტის კარი და უნივერსიტეტის ნაწილი გახდნენ. მახარებს, რომ ყველა მაჩვენებლით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროგრამები ინარჩუნებენ საუკეთესო პოზიციებს სამართლის პროგრამებს შორის. მიმდინარე წელს ფაკულტეტმა ასევე მისცა შესაძლებლობა სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს, შემოერთებოდნენ იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებას. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენთან ჩაბარება არის რთული, მაგრამ სწავლა არის კიდევ უფრო რთული. ასე რომ, ჩვენს სტუდენტებს ამ თვალსაზრისით ბევრი შრომა მოუწევთ მომავალი წარმატებისთვის.

ფაკულტეტი აღრმავებს საერთაშორისო კონტაქტებს. ამ ზაფხულზე დაიგეგმა ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტთან მორიგი საერთაშორისო კონფერენცია. როგორც იცით, მაქს პლანკის ინსტიტუტი გახლავთ ელიტარული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება გერმანიაში და იურიდიულ ფაკულტეტს აქვს ამ დაწესებულებასთან თანამშრომლობის ძალიან ხანგრძლივი ტრადიცია. 2012, 2015 და 2019 წლებში ამ პარტნიორობის ფარგლებში გაიმართა სამი ერთობლივი კონფერენცია კერძო სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს თანამშრომლობა გაგრძელდება შემდგომ ერთობლივ პროექტებში.

მიმდინარე წლის ზაფხული საინტერესო იყო ჩვენი „საჯარო მმართველობის“ პროგრამის სტუდენტებისთვის. როგორც იცით, იურიდიული ფაკულტეტი 2009 წლიდან თანაშრომლობს გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან და ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ინტერდისციპლინური, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“, რომელმაც 2019 წლის აპრილში 10 წლის იუბილე იზეიმა. თსუ-ს, ფოლკსვაგენის ფონდისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 5-18 აგვისტოს პერიოდში ორგანიზებულ იქნა საზაფხულო სკოლა ქალაქ შპაიერში. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას ამ პროგრამის 39 სტუდენტი იღებდა. საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ქ. შპაიერის მერიაში, ადმინისტრაციულ საქმეთა უზენაეს სასამართლოში, რაინალდ-პფალცის რეგიონალური აუდიტის სამსახურში, ევროპის საბჭოში, სტრასბურგის ევრო-პარლამენტში, ასევე ლექციები, ექსკურსიები და სხვა ძალიან საინტერესო აქტივობები.

წლევანდელი ზაფხული იურიდიული ფაკულტეტისთვის, სამწუხაროდ, არ იყო უდანაკარგო, ფაკულტეტი გამოეთხოვა ლეგენდარულ პროფესორს, საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის მესაძირკვლეს აკადემიკოს ლევან ალექსიძეს. სამუშაო ოთახში, სადაც პროფესორმა ლევან ალექსიძემ გაატარა ბოლო წლები, ფაკულტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდება ლევან ალექსიძის სახელობის საერთაშორისო სამართლის კაბინეტი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, რომელიც დარჩა პროფესორ ლევან ალექსიძეს, არის ის აკადემიური გუნდი, რომელიც ფაკულტეტზე მის საქმეს აგრძელებს და ამ მნიშვნელობით, უნდა ითქვას, რომ ეს ადამიანები მართლაც არიან საქართველოში საერთაშორისო სამართლის მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები. მიმართულება ძალიან აქტიურად არის ჩართული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოდიფიცირებასა და მის სააკრედიტაციოდ მომზადებაში.

იურიდიული ფაკულტეტი სააკრედიტაციო პროცესისთვის ამზადებს სამართლის პროგრამებსაც. ოქტომბერში ფაკულტეტს დაგეგმილი აქვს საკუთარი პროგრამების მეორე განვითარებადი შეფასება, რომელსაც კვლავ უცხოელი ექსპერტი განახორციელებს. პირველ ეტაპზე პროგრამებთან დაკავშირებული დასკვნა იყო ძალიან კარგი, თუმცა მივიღეთ გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც ფაკულტეტმა გაითვალისწინა და ამ დასკვნების საფუძველზე გააუმჯობესა საკუთარი პროგრამები. მეორე განმავითარებელი შეფასება კვლავ მოგვცემს შესაძლებლობას, გარე შემფასებლის მიერ მოხდეს პროგრამის განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

ნოემბერში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, ზაარლანდის ევროპულ უნივერსიტეტთან ერთად, მასპინძლობს დიდ საერთაშორისო ფორუმს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის სხვადასხვა სამართლის სკოლების წარმომადგენლები. პროექტში ჩართული იქნება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ჩვენი სტუდენტები და მსჯელობა გაიმართება იურიდიული განათლების საკითხებზე.

როგორც იცით, იგეგმება მეორე აკადემიური კორპუსის საბოლოო სრული რეაბილიტაცია. იურიდიულ ფაკულტეტს აქვს მოლოდინი, რომ ამ რეაბილიტაციის შემდეგ ფაკულტეტი შეძლებს გაიუმჯობესოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წარსულს ჩაბარდება ისეთი პრობლემები, როგორიც არის სააუდიტორიო ფართის არარსებობა ან სიმცირე, გაიზრდება საბიბლიოთეკო სივრცე, შეიქმნება სტუდენტებისათვის რელევანტური საუნივერსიტეტო გარემო. ფაკულტეტს აქვს მოლოდინი, რომ მიმდინარე სემესტრში ექნება კვალიფიციური IT მხარდაჭერა, რაც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სტუდენტებს, მიიღონ 21-ე საუკუნის შესაბამისი საუნივერსიტეტო სერვისები, რაც, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია.

ამასთან ერთად, უნივერსიტეტი და ფაკულტეტი მუდმივად უნდა ზრუნავდნენ პროფესორების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ერთი მხრივ, ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენთან აკადემიურ თანამდებობაზე არიან პროფესორები, რომლებიც ქმნიან ქართულ იურისპრუდენციას, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია უნივერსიტეტმა და ფაკულტეტმა ერთობლივად განახორციელონ ის ცვლილებები, რაც ფაკულტეტს მისცემს შესაძლებლობას ღირსეული ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები შესთავაზოს საკუთარ პროფესორს. აღნიშნული საკითხი თანხვედრაშია უცხოელი ექსპერტების მიერ უნივერსიტეტისთვის მიცემულ რეკომენდაციასთან, რომლის თანახმადაც, უნდა შეიცვალოს ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის გამოყოფის პრინციპი. უნივერსიტეტი ფაკულტეტს უფრო მეტ თანხას უნდა აძლევდეს თავად ფაკულტეტის მიერ მოპოვებული თანხიდან. ცხადია, ყველა ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად შემოტანილი ფინანსების საშუალებით საკუთარი აკადემიური გუნდისა და ინფრასტრუქტურის ღირსეული განვითარების შესაძლებლობა.

წლის ბოლომდე უნდა მომზადდეს ქართველოლოგიური პროფილის პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა

ნანა გაფრინდაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— პირველ რიგში, მინდა, ყველა უნივერსიტეტელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება, დღესასწაული, რომელსაც ყოველთვის ახლავს ღელვა, ფორიაქი, ახლის მოლოდინი, წარმატების იმედი და ფიქრი — რას ველით ახალი წლისაგან.

ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტზე ფუნდამენტური ცვლილებები არ იგეგმება. 2019-2020 სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კვლავ ერთგული იქნება თავისი სამი უმთავრესი მიზნისა: ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი განათლება, სამეცნიერო პოტენციალის ზრდა და ქვეყნის ინტერესების სამსახური.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება და განვითარება საუნივერსიტეტო მისიის შემადგენელი ნაწილი და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შემადგენელი არსებითი კომპონენტია. ის პირდაპირ კავშირშია სწავლების ხარისხთან და სტუდენტის კმაყოფილებასთან.

გვ. 8

ფაკულტეტზე

რა სიახლეებით ხვდებიან ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?

მე-7 გვ-დან

ბოლო პერიოდი უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტთა ცვლილებებისა და სიახლეების პერიოდია. დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. ამ ცვლილებებმა უმაღლესი განათლების სისტემა და ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ჩვენ უნდა მოვერგოთ შეცვლილ ნორმატივებს და შევინარჩუნოთ ლიდერის პოზიციები საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში.

2019 წელს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი პროგრამაა წარდგენილი რეაკრედიტაციისთვის. ესენია: არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამა სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურენოვანი სტუდენტთათვის. ორივე პროგრამაში წარსული გამოცდილების გათვალისწინების ფონზე ბევრი რამაა შეცვლილი და გაუმჯობესებული, უფრო მეტადაა მორგებული სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, მეტად შეიცავს პრაქტიკულ ელემენტებს. დიდი იმედი და მოლოდინი გვაქვს, რომ ამ ცვლილებებს დადებითი შეფასება მოჰყვება აკრედიტაციის ექსპერტთა მხრიდანაც.

ეს წელი გამოწვევების წელია ჩვენთვის იმითაც, რომ, მიუხედავად ინგლისურენოვან კურსთა არცთუ მცირე ჩამონათვალისა, სრული ინგლისურენოვანი პროგრამა დღემდე ფაკულტეტზე არ ფუნქციონირებს და, ფაკულტეტის პროფესურის გადაწყვეტილებით, წლის ბოლომდე უნდა მომზადდეს ქართველოლოგიური პროფილის პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც ქართველოლოგიისა და მასთან ბმაში მყოფი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მიღწევებს გაუწევს პოპულარიზებას, გაზრდის უცხოელ ქართველოლოგებს და ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო სიახლეებს გაიტანს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფაკულტეტზე მრავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული შინაარსის ღონისძიებაა დაგეგმილი. მათ შორის უნდა აღინიშნოს: ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, საერთაშორისო კონფერენციები „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“, „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, „ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში“. ასევე დაგეგმილია კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი — „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში“, „ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში“ და მრავალი სხვა.

ფაკულტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტური მეცნიერების განვითარება, ამიტომ იგი მომავალ წელსაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარებას, დაგეგმილია ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-13 საერთაშორისო კონფერენცია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის პროექტმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო თანადაფინანსება.

წელს ფაკულტეტზე 1372 სტუდენტი მივიღეთ. გვაქვს მოლოდინი, რომ ისინი წინამორბედებზე უფრო მოტივირებულნი იქნებიან და მათზე უფრო შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწევენ. დრო არ დგას ერთ ადგილას და თუ გვინდა ვიყოთ დროისა და ეპოქის შესატყვისნი, არ უნდა გავჩერდეთ და მუდამ წინ ვიაროთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ფაკულტეტი გაამართლებს ყველა მათგანის იმედებსა და მოლოდინს.

განათლების დეპარტამენტის მასწავლებელთა მომზადების 300 კრედიტიანმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო

თამარ გაგოშიძე,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ახალ სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი საინტერესო სიახლეებით ხვდება:

პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ გამოვიდა პირველი ნომერი ორენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“, რომლის სარედაქციო კოლეგიაში, ქართველ ფსიქოლოგებთან ერთად, შედიან ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის ცნობილი უცხოელი სპეციალისტები.

ეს წელი წარმატებული გამოდგა ფაკულტეტისთვის საერთაშორისო პროექტების თვალსაზრისითაც: „ერაზმუს+“-ის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი: „კურიკულუმის ინოვაცია სოციალური ინკლუზიისათვის“. ეს 3-წლიანი პროექტი გულისხმობს 60 კრედიტიანი მოდულის და სასერტიფიკატო კურსის შექმნას ინკლუზიურ განათლებაში. აღნიშნული „ერაზმუს+“-ის პროექტის კოორდინატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. წელსვე ფაკულტეტმა, საერთაშორისო კონსორციუმთან ერთად, დაიწყო აქტიური მუშაობა ახალ პროექტზე კონკურსში წარსადგენად ადრეული ინტერვენციის სამაგისტრო პროგრამის შემუშავების მიზნით. ვფიქრობთ, ეს პროგრამა უახლოეს პერიოდში მიიღებს სტუდენტებს.

სიახლეა ისიც, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების დეპარტამენტის მასწავლებელთა მომზადების 300 კრედიტიანმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო.

ფაკულტეტზე ამოქმედდა სტუდენტთა კონსულტირების ცენტრი, რომლის ფარგლებშიც პირველ ეტაპზე ფაკულტეტის სტუდენტები იღებენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. მომავალში დაგეგმილია ამ ცენტრის აქტივობის გაფართოება.

ასევე თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთობლივად იქმნება ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების უნიკალური სასწავლო კომპიუტერული პროგრამა და უკვე პირველივე სემესტრში სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, აღნიშნული პროგრამის დახმარებით ისწავლონ.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით სტრუქტურული და სტუდენტების მომსახურეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით

თამარ დოლგაია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ახალ სასწავლო წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბევრი მნიშვნელოვანი სიახლით ხვდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განახლდა და სწავლების თანამედროვე მოთხოვნებთან კიდევ უფრო დაახლოვდა სილაბუსები და ზოგიერთი პროგრამის კურიკულუმი.

სიახლეა ის, რომ საფაკულტეტო სივრცეში ორი ახალი სამაგისტრო პროგრამა შემოდის. ერთი მათგანი — ინგლისურენოვანი პროგრამა „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ სიახლეა არა მხოლოდ საფაკულტეტო, არამედ ქართულ საგანმანათლებლო არეალში, რადგან სრულიად ახალი თემატიკაა და სწავლებაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად, უცხოელი ლექტორებიც ჩაერთვებიან. მეორე პროგრამა — „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“, გახლავთ ქართული პროგრამა ინგლისური კომპონენტებით.

ჩვენთვის ძალიან მტკივნეული თემა იყო და რჩება კომფორტული და სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურა. წელს მოვახერხეთ და მცირე სარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ: შეიღება მეექვსე კორპუსის ფოიე, განახლდა ორი აუდიტორია, გაფართოვდა და კეთილმოეწყო რესურსცენტრი.

ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით სტრუქტურული და სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით — ერთ სივრცეში მოვაქციეთ სტუდენტისთვის საჭირო ყველა მომსახურება. მოგეხსენებათ, ჩვენი ფაკულტეტის ადმინისტრაცია ძირითადად მე-6 და მე-4 კორპუსებშია განთავსებული, ამიტომ სტუდენტებს ხშირად უწევდათ მათ შორის სირბილი საჭირო ინფორმაციის მისაღებად. ახლა ერთ დიდი ოთახი გავათავისუფლეთ მეექვსე კორპუსში, გავარემონტეთ, ყველა მიმართულების სპეციალისტი გადმოვიყვანეთ და ერთ სივრცეში განვათავსეთ. სტუდენტები ხშირად ითხოვენ ცნობებს და ეს მომსახურეობაც იმავე სართულზე გადმოგვყავს. ანუ მეექვსე კორპუსის ერთ სართულზე განთავსდება ყველა სპეციალისტი, რომლებიც ასევე ტუტორობასაც გაუწევენ მსურველებს. მიმაჩნია, რომ ეს სტუდენტებისთვის შვების მიმცემი და დროის დაზოგვის კარგი საშუალება იქნება.

ცხადია, ჩვენთვის სასურველია, რომ მეტი აუდიტორია იყოს გარემონტებული და მოწესრიგებული, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არ ვზრდით სწავლის გადასახადს და ამიტომაა რომ გვიჭირს ესთეტიკური ელემენტების გათვალისწინება და ინფრასტრუქტურის განახლება. ტექნიკურად ყველა მიმართულება აღჭურვილია, ვიზუალურად კი უკეთესს ვისურვებდით, თუმცა, რაც კეთდება, ისიც მნიშვნელოვანია.

გვ. 9

ფაკულტეტებზე

რა სიახლეებით ხვდებიან ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?

მე-8 გვ-დან

სიახლეა ისიც, რომ გავხსენით ვიზუალური დოკუმენტალისტიკის ლაბორატორია, სადაც ინახება უამრავი დოკუმენტური მასალა უნივერსიტეტის წარსულის და აწმყოს შესახებ. ამ მასალის დამუშავება დაეხმარება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს ცოდნის დაუფლებასა და პროფესიული უნარების შეძენაში, ისევე, როგორც მულტიმედია ცენტრი, რომელიც საუნივერსიტეტო ერთეული იყო.

ასევე ცვლილებები შევიტანეთ ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებში და კრედიტები გავითვალისწინეთ ამ ცენტრისა და ლაბორატორიის მასალების დამუშავებისთვის ანუ, სტუდენტები ლაბორატორიულ მუშაობაში კრედიტებს მიიღებენ, პროდუქტს შექმნიან და პრაქტიკას ეზიარებიან.

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი ფაკულტეტი გამოსცემს მეტად ორიგინალურ გზამკვლევს, რომლის ფურცლებზე განთავსებული QR კოდების მეშვეობით, სტუდენტს ვთავაზობთ სავალდებულო საფაკულტეტო საგნების ელექტრონულ ბიბლიოთეკას.

ასევე ახალი პროექტია საჯარო ლექციათა ციკლი სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია: „საქართველო ფოკუსში“, რომელიც გადაიცემა ონლაინ რეჟიმში და პოპულარობით სარგებლობს ფართო აუდიტორიაში.

2020 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაარსებიდან 15 წელი სრულდება. საიუბილეო წლისთვის მრავალი ღონისძიება და აქტივობაა განსაზღვრული, მაგრამ ამას მოგვიანებით გაგიმხელთ.

აქტიურად მიმდინარეობს ულტრათანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნა

გიორგი ღაღანიძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გასულ წელს გაიარა. წელს სრული და უპირობო 7 წლიანი აკრედიტაცია მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ.

ამჟამად წარდგენილი გვაქვს ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა. 2020 წელს ვაპირებთ ინტენსიურად ვიმუშაოთ ეკონომიკის პროგრამებზე, რადგან მიმდინარე წელს ამ პროგრამას საკრედიტაციო ვადა გასდის. ვმუშაობთ ყველა საბაკალავრო პროგრამის განახლებაზე.

ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს არჩევანი ისწავლოს როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან პროგრამებზე. ორმაგი ხარისხის პროგრამების მიმართულებით წარმატებით ვსაქმიანობდით გერმანულ მხარესთან და ახლა ფრანგ კოლეგებთანაც ვიწყებთ აქტიურ თანამშრომლობას.

ცოტა ხნის წინ, საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ფრანგული დიპლომის მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის სამსახურის საფრანგეთში დაწყების გამარტივებაზე. როგორც კი ეს გადაწყვეტილება გაჟღერდა, ჩვენ აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ ფრანგულ უნივერსიტეტებთან. მოლაპარაკებები ვაწარმოვეთ რენეს უნივერსიტეტის როგორც ბიზნესის, ასევე ეკონომიკის ფაკულტეტებთან. ამ უნივერსიტეტთან ერთად გვინდა ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის გაკეთება ციფრულ ეკონომიკასა და ციფრულ მენეჯმენტში. ეს პერსპექტივა რეალურად მომავალი სასწავლო წლიდან განხორციელდება. შემოდგომაზე ჩამოვლენ ფრანგი კოლეგები ამ უნივერსიტეტიდან თანამშრომლობის კონკრეტული დეტალების განსახილველად, რათა მომავალი სასწავლო წლიდან ორმაგი ხარისხის პროგრამების ამოქმედება შევძლოთ. ფრანგმა პროფესორებმა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მომზადებაც შემოგვთავაზეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის საკითხიც, რომ პარტნიორები არ აყენებენ ფრანგული ენის კარგად ცოდნის მოთხოვნას. ორმაგი ხარისხის დიპლომის მსურველი რენეს უნივერსიტეტში ინგლისურ ენაზე ისწავლის, ფრანგულად საუბარი კი ელემენტარულ დონეზე უნდა შეეძლოს.

ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა მოვამზადეთ აგრეთვე ტურიზმშიც. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე შარშან 75 სტუდენტის მიღება შეგვეძლო, წელს კი სტუდენტთა რაოდენობა მოთხოვნის მიხედვით გავზარდეთ და 150 ადგილზე საკმაოდ დიდი კონკურსი იყო. იმედი გვაქვს, მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

რაც შეეხება სამეცნიერო აქტივობებს, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას და ეს უკვე ტრადიციად იქცა. კონფერენცია ნოემბერში გაიმართება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი კოლეგები. მიმდინარე სასწავლო წელს დასრულდება ასევე საფაკულტეტო სამეცნიერო გრანტების მიხედვით გაწერილი საქმიანობა და ამის შემდეგ საშუალება გვექნება ამ პროექტების პრეზენტაცია გავმართოთ.

ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ინტენსიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც, ძირითადად, დასავლეთ ევროპაში ტარდება. ეს კი ხელს შეუწყობს ქართველი მეცნიერების ცნობადობის გაზრდას და უნივერსიტეტის პოპულარიზაციას. ასევე გვინდა, კიდევ უფრო გავააქტიუროთ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები. ამისთვის სამეცნიერო დეპარტამენტში ჩამოვაყალიბეთ სპეციალური ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს გრანტების გაცემის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება. ასე რომ, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ბევრი იდეებით და სიახლეებით ეგებება ახალ სასწავლო წელს. ასევე, მინდა აღვნიშნო ჩვენი აქტიური თანამშრომლობა სტუდენტურ თვითმმართველობასთან. ისინი ყველა წამოწყებაში გვერდში გვიდგანან.

ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს ულტრათანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნა, რათა სტუდენტს წვდომა ჰქონდეს უახლეს და საუკეთესო სასწავლო ლიტერატურაზე, იმ წიგნებზე, რითაც დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტებში ასწავლიან. გვინდა, რომ ჩვენი კურსდამთავრებული კონკურენტული იყოს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები გვაქვს კურსდამთავრებულების დასაქმების მხრივაც, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გვინდა, ისინი კონკურენტუნარიანები იყვნენ საერთაშორისო შრომის ბაზარზეც. ჩვენ ვაპირებთ იმ სასწავლო პროგრამების განვითარებას, რომლებიც უკეთ პასუხობს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს და გლობალიზაციას.

წელს თსუ-ის ადმინისტრაციამ გამოძებნა შესაძლებლობა და X კორპუსის მასშტაბური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მთლიანად განახლდება შენობის შემოსასვლელი, რაც, პრაქტიკულად, ბოლო 40 წლის მანძილზე არ გაკეთებულა. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა დონორებთან კორპუსის შიდა განახლების თაობაზე. მაღალხარისხიანი კომპიუტერული ტექნიკით განვაახლეთ მთლიანად საგამოცდო და რესურსცენტრები. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თსუ-ის ადმინისტრაციას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

გავაგრძელებთ ძალისხმევას უნივერსიტეტის კლინიკის დაფუძნების მიმართულებით

დიმიტრი კორძაია,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— 2019-2020 სასწავლო წელი თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წინ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი აკრედიტაცია გველოდება (9 სასწავლო პროგრამიდან 7-ის აკრედიტაცია). ძირითადად, ორიენტირებულნი ვართ სააკრედიტაციოდ წარსადგენი პაკეტის სრულყოფილად მომზადებაზე. აკრედიტაციას კი საერთაშორისო კომისია ჩაატარებს. იმედია, ყველაფერი წარმატებით ჩაივლის...

მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის შემდეგ უცხოენოვანი პროგრამა ამოქმედდა სტომატოლოგის სპეციალობითაც, რაც აქამდე არ გვქონდა. ასე რომ, ძირითად მიმართულებებზე — „მედიცინა“, „სტომატოლოგია“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ (ეს უკანასკნელი სამაგისტრო პროგრამაა) — სწავლება გვექნება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, რაც, ზოგადად, ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს.

ივნისში თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე დაფუძნდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი მიენიჭა. აქ გაწევრიანდებიან სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტები, რომლებიც დაგვეხმარებიან, რომ ფაკულტეტი იქცეს ჭეშმარიტ კვლევით ფაკულტეტად. საზოგადოების გამგეობასთან (რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი გაგუა) ერთად ვგეგმავთ ასეთი „სამეცნიერო პირამიდის“ ამოქმედებას: ფაკულტეტის კათედრების აკადე-

გვ. 10

ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ

ᲠᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲡ?

მე-9 გვ-დან

მიური შემადგენლობა (100-მდე პირი), კათედრებთან ასოცირებული 200-მდე დოქტორანტი და მაგისტრი, დოქტორანტებთან და მაგისტრებთან ასოცირებული 500-600 სტუდენტი მთლიანად იქნება ჩართული 20-მდე კათედრაზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევით თემატიკების სხვადასხვა განშტოებებში. კვლევის შედეგები წარდგენილი იქნება ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე — შესაბამისად, პროფესორთა და სტუდენტთა სექციებზე. ეს მოდელი განსახორციელებლად ადვილი არ არის და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა სრულიად რეალისტურია. გვინდა, რომ ეს სასწავლო წელი, ამ თვალსაზრისით, გარდამტეხი იყოს.

გავაგრძელებთ ძალისხმევას უნივერსიტეტის კლინიკის დაფუძნების მიმართულებითაც. ხელშეკრულებით 55 სასწავლო ბაზა გვაქვს, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობს. აქედან რამდენიმეს საუნივერსიტეტო კლინიკის სტატუსიც აქვს მინიჭებული. ცხადია, ეს კარგია, მაგრამ უნივერსიტეტის საკუთარი კლინიკა, სადაც მენეჯმენტი განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიზნებითა და საჭიროებებით, სულ სხვაა.

ასევე ვაპირებთ რეზიდენტების „გააქტიურებას“ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ახალი პროგრამის მიხედვით, თითოეულ სტუდენტს ექნება საკუთარი „პორტფოლიო“, სადაც უნდა აისახოს მათ მიერ დაგროვებული პრაქტიკული („კლინიკური“) გამოცდილება.

***P.S.** გაზეთის რედაქტორის ნინო კაკულიას შენიშვნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რამაზ ხომერიკის მისამართით:*

თსუ-ის 7 ფაკულტეტიდან მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა არ ისურვა გაზეთისთვის მოეწოდებინა ინფორმაცია ფაკულტეტზე დაგეგმილი სამომავლო გეგმებისა და ხედვების თაობაზე, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მცდელობა, რომ ამ ფაკულტეტის დეკანისგან დროულად მივიღოთ საჭირო ინფორმაცია და კითხვებზე პასუხი, თითქმის ყოველთვის უარით სრულდება. ამის მიუხედავად, გაზეთი ყოველთვის აქტიურად აშუქებს ყველა ღონისძიებას, რაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხდება. ამდენად, უფრო მეტადაა გულდასაწყვეტი დეკანის მხრიდან გაზეთის მისამართით ხშირად გამოხატული გულგრილობა და უპატივცემულობა, რასაც არც ერთი ფაკულტეტის დეკანი ჩვენთან მიმართებაში არასდროს ავლენს.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲤᲔᲠᲐᲫᲘᲡ I ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ“

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ პროფესორის, საქართველოს და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წმინდანად შერაცხული არქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 120 წლისთავს მიეძღვნა I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა.

„ჩვენთვის საამაყოა, რომ გრიგოლ ფერაძის რანგის ადამიანები გვყავდა საქართველოში, რომელიც გახდა სიმბოლო ევროპეიზმის, სიმბოლო ჰუმანიზმის. ეს არის ერთგვარი სიმბოლო იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყო კარგი მეცნიერი, კარგი მკვლევარი, პატრიოტი. წმინდა გრიგოლ ფერაძე გახლდათ ის ადამიანი, ვინც იარაღით ხელში შეებრძოლა რუსეთის ოკუპაციას, ებრძოდა მეთერთმეტე არმიას. გასაბჭოების შემდგომ საპატრიარქოსთან არსებული კომისია იძულებული გახდა, რომ იგი გერმანიაში სასწავლებლად გაეგზავნა, სადაც ბევრ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა; ბონის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, შემდეგ გახდა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და იყო მკვლევარი. გრიგოლ ფერაძე იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჰუმანისტურ იდეებს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კონფერენციის მონაწილეებს მოუყვა ისტორია, თუ როგორ ელოდნენ ქართველი ემიგრანტები ევროპაში პირველ ქართველ მღვდელს გრიგოლ ფერაძეს, რომელიც მონათლავდა ემიგრანტთა შვილებს. მისი თქმით, „გრიგოლ ფერაძემ ის როლი შეასრულა ქართულ ემიგრაციაში, რასაც მუდამ ასრულებდა ქართული ეკლესია საქართველოს ისტორიაში — შეინახა ქართული იდენტობა, ქართული სული. მან თავისი მაგალითით, ღირსებით, განათლებით, თავისუფლებით გვაჩვენა, თუ როგორ შეეჭიდა ტოტალიტარულ სისტემას. ამიტომ გვჭირდება ასეთი ფიგურები ჩვენს ისტორიაში. გრიგოლ ფერაძე იყო ნამდვილი ევროპელი, ნამდვილი ქართველი“.

„გრიგოლ ფერაძე არ იყო მხოლოდ ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი პიროვნება, იგი მნიშვნელოვანი იყო პოლონეთის ისტორიისთვის. ის იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი მკვლევარი, მხარს უჭერდა ქართულ დიასპორას. გერმანული ოკუპაციის დროს მან გამოავლინა პრინციპულობა. იგი ძალიან დიდ ადამიანად ითვლება პოლონეთში. გვახსოვს ეს ადამიანი, გვახსოვს მისი საქმიანობა. ვიმედოვნებ, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა ისევ გაგრძელდება ქართული და პოლონური თანამშრომლობით“, — აღნიშნა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკევიჩმა.

კონფერენციაში 50-ზე მეტი მომხსენებელი მონაწილეობდა საქართველოდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, რუსეთიდან. კონფერენციის ორგანიზატორები გახლდნენ: თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, საქართველოს საპატრიარქო, წმიდა გრიგოლ ფერაძის კავშირი.

„ჩვენი მთავარი მიზანი იყო ურთიერთობის გაღრმავება ევროპასთან, პირველ რიგში კი ვარშავის უნივერსიტეტთან. ასევე გვინდოდა დაარსება მუდმივმოქმედი ფორუმისა, რომელიც მიეძღვნებოდა ქართველოლოგიურ კვლევებს და დაუკავშირდებოდა იმ დიდი პიროვნების, წმინდანის სახელს, რომელიც იყო წარმოშობით ქართველი და ცხოვრების წესით ევროპელი და ვისი დამსახურებითაც ევროპამ ბევრი რამ შეიტყო საქართველოს სიძველეთა შესახებ. ეს ფორუმი იქნება მუდმივმოქმედი, წარმატებული და ხელს შეუწყობს საქართველოს და ქართველი ერის უკეთ გაცნობას დასავლეთში“, — განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა, თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გიორგი ჭეიშვილმა.

წმ. გრიგოლ ფერაძის პრემიის მიმნიჭებელმა საბჭომ ქართველ მეცნიერს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამილა მგალობლიშვილს ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის წმ. გრიგოლ ფერაძის პრემია მიანიჭა.

კონფერენცია საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით ჩატარდა და წმინდანის დაბადების დღეს, 13 სექტემბერს ბაკურციხეში დასრულდა.

ევროპის საუკეთესო მეცნიერი, რომელიც დაბერებას ებრძვის

მაია ტორაძე

მეცნიერება მხოლოდ აღმოჩენის ინტერესი არასოდეს ყოფილა. მას ყოველთვის ახლდა თან ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების, საზოგადოების გაკეთილშობილების და ცხოვრების გაუმჯობესების უზენაესი მიზანი. ამიტომაც მეცნიერისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება ამ მიზნისკენ სვლას შეალია, ყველაზე დიდი ჯილდო იმის აღიარებაა, რომ მან მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ამ დიდ საქმეში.

სულ ცოტა ხნის წინ ჩვენმა გაზეთმა საუნივერსიტეტო საზოგადოებას ერთი სასიამოვნო ამბის შესახებ ამცნო — 23-25 მაისს შვედეთის ქალაქ გეტენბორგში გამართულ გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშორისო ასოციაციის ევროპის კონგრესზე ევროპის გერონტოლოგთა და გერიატრთა ასოციაციის პრეზიდენტმა ევროპის საუკეთესო მეცნიერის ერთადერთი მედლით ფუნდამენტურ გერონტოლოგიაში თსუ-ის პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა დააჯილდოვა.

მეცნიერება მისთვის ცხოვრების წესია. ბიოლოგიამ, რასაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა, ბევრი ახალი კარი შეაღებინა და ფიზიოლოგიის ურთულეს ლაბირინთებში ატარა. დღეს, როცა უამრავი წარმატების შემდეგ, კიდევ ერთი აღიარება ხვდა წილად, ამბობს, რომ მადლიერია განგებისა, რადგან ის საქმე აკეთებინა, რომელიც უყვარს.

პროფესორ თეიმურაზ ლეჟავასთვის მეცნიერული და ადამიანური ძლიერების ნიშანი ცოდნას, ტაქტსა და წესიერებას ემყარება. ამასვე ასწავლის სტუდენტებს და ცდილობს, ისე იცხოვროს, რომ მათთვისაც მაგალითი იყოს.

მისთვის მედლები და ჯილდოები უცხო არაა. ჯერ კიდევ თელავის საშუალო სკოლაში გამოიჩინა თავი საუკეთესო სწავლით და 1957 წელს ოქროს მედალიც დაიმსახურა. სკოლის წლებს დიდი სიყვარულით იხსენებს და ამბობს, რომ იქ ისწავლა მეგობრობა, მიზნისკენ დაუღალავი სვლა და სხვისი ნაშრომის დაფასება. ოქროსმედალოსანს, ცხადია, ნებისმიერი სპეციალობა შეეძლო აერჩია, მაგრამ მამის, ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე ლეჟავას დამსახურებაა, რომ დღეს ქართულ მეცნიერებას, კერძოდ კი, გენეტიკას თეიმურაზ ლეჟავა ჰყავს.

უნივერსიტეტში ისე ისწავლა, არავინ იცოდა, რომ ალექსანდრე ლეჟავას შვილი იყო. მას ეს არც სჭირდებოდა — „იმდენად კარგი ლექტორები მყავდა, ძნელი არ იყო, მათგან ცოდნა წამომეღო“, — ამბობს ის და იხსენებს, რომ ივანე ბერიტაშვილის ლექციებსაც ესწრებოდა: „ერთხელ მამამ მკითხა: — როგორი ლექტორია ბატონი ივანეო? მე მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი: — დიდი მეცნიერები ხომ ხშირად კარგი მოლაპარაკეები არ არიან! — უსმინე, ის დიდი მეცნიერია, რასაც ამბობს ჭეშმარიტებაა, მისგან ბევრს ისწავლიო“, — ასე დამმოძღვრა მამამ და არც შემცდარა. იმ საგანში ბატონი ივანესა და შემდგომ ბატონი თეიმურაზ იოსელიანისგან მართლაც ძალიან ბევრი რამ ვისწავლე“, — იხსენებს პროფესორი.

მერე იყო ასპირანტურა, საკავშირო აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი და საკავშირო სამედიცინო აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტი, სადაც თეიმურაზ ლეჟავა უდიდესი მეცნიერის ალექსანდრა პრაკოფიევა-ბელგოვსკაიას ხელმძღვანელობით მუშაობდა. „ეს ქალბატონი ნობელის პრემიის ლაურეატ მელერთან თანამშრომლობდა და საბჭოთა კავშირში პირველი ლაბორატორია გენეტიკაში სწორედ მან შექმნა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ ლაბორატორიაში მეც მოვხვდი და დღემდე ალექსანდრა პრაკოფიევა-ბელგოვსკაიას „ზურგით დავდივარ. მასთან მუშაობა ადვილი არ იყო — მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ დიდი ცოდნის მატარებელი მეცნიერი გახლდათ. ასპირანტურაში, საკანდიდატო თემის მოძიება მოსკოვში მომიხდა. მახსოვს, ღამეებს ვათენებდი ბიბლიოთეკაში, რომ საინტერესო საკვლევი თემა შემერჩია. ბოლოს შევჩერდი შტეინ-ლევენტალის სინდრომზე — უნდა გამომეკვლია, ამ სინდრომის დროს რა მდგომარეობაში იყვნენ ქრომოსომები. თემაში ახალი მიმართულებებიც ჩავრთე. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში სულ მახსოვდა, რომ მე ქართველი ვარ და ყოველთვის ყველაზე მეტს ვმუშაობდი. საინტერესო დაცვა მქონდა. თემამ დიდი ინტერესი გამოიწვია და სხვას რომ ორი ოპონენტი ჰყავდა, მე სამი მომიჩინეს. მერე უკვე სამეცნიერო ინტერესის ვექტორი დაბერებისკენ გადაიხარა და სადოქტორო სწორედ ამ მიმართულებით დავიცავი პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში)“, — იხსენებს თეიმურაზ ლეჟავა.

პირველი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში (დირექტორი პროფ. ჯ. ციციშვილი) და შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მიიღო. ამბობს, რომ აქაც გაუმართლა, რომ ბრწყინვალე მეცნიერისა და პიროვნების — დიმიტრი გედევანიშვილის ფრთის ქვეშ მოხვდა. გენეტიკის პირველი ლაბორატორიაც, პროფესორ ლეჟავას ხელმძღვანელობით, სწორედ სამედიცინო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრა 1975 წელს ჩაბარა. მას შემდეგ ყველა კვლევა და ცდა ამ უნივერსიტეტის ბაზაზე მზადდება და უცხოეთშიც მშობლიური უნივერსიტეტის პოპულარიზაციას ეწევა.

სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დაბერების პათოლოგიების აცილების საშუალება

პროფესორ ლეჟავას სამეცნიერო ინტერესები მრავალმხრივია. მათ შორის კი თავად გამოყოფს ბოლო პერიოდის კვლევებს, რომლებიც ადამიანის გენომის კვლევას და ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების შეჩერებას შეეხება.

მის მიერ შექმნილია დაბერების გენეტიკური თეორია, რომელიც სამ აღმოჩენას მოიცავს: დადგინდა, რომ დაბერების პროცესში ქრომატინის მოდიფიკაცია პირველადია მუტაციებსა (ხარისხობრივი დარღვევების) და რეპარაციასთან (აღდგენის) მიმართებაში, რაც სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დაბერების პათოლოგიების აცილების საშუალებას ქმნის.



თეიმურაზ ლეჟავა

პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ რიგი სინთეზური პეპტიდური ბიორეგულატორების მოქმედებით შესაძლებელია დაბერების პროცესში მოდიფიცირებული ქრომატინის გახსნა, რაც ჩაკეტილ გენთა გამოთავისუფლების წინაპირობაა და, შესაბამისად, გენთა აქტივობის კორექცია დაბერების პათოლოგიების აცილებისა და მკურნალობის საშუალებას ქმნის; თეიმურაზ ლეჟავას მიერ აგრეთვე ნაჩვენებია, რომ პეპტიდური ბიორეგულატორებისა და მძიმე მეტალების კომბინირებული ზემოქმედებით შესაძლებელია დამოკლებული ტელომერის ნორმალიზაცია, რაც მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და სხვა პათოლოგიების შემთხვევებში (როდესაც ტელომერები მნიშვნელოვნად დამოკლებულია) და შესაძლებლობას იძლევა დაისახოს გზები ამ პათოლოგიათა განკურნებისათვის.

დაბერების გენეტიკური თეორია და დაბერების პერიოდში ქრომატინის მოდიფიკაციის პროცესი ფართოდ არის გაშუქებული ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულ პროფესორ ლეჟავას მონოგრაფიაში. თეორიის დებულებები შეტანილია წამყვან ამერიკელ მეცნიერთა მიერ ქრომატინზე გაკეთებულ სამაგიდე ნაშრომში, როგორც ძირითადი არგუმენტი დაბერების პროცესში ქრომატინის რემოდელირებისა, რაც თავის მხრივ დაბერების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს;

„ეს ძალიან აქტუალური თემატიკაა. ამ მიმართულებით ამერიკასა და ევროპაში ძალიან ბევრი მუშაობს და აქ თავის გამოჩენა ძნელია. ამიტომ, თუ ჩვენ დიდ და თამამ ნაბიჯს გადავდგამთ, გვექნება რაღაც ახალი გზა, რომელიც სხვებისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება. დაბერების გარდა, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი მიგნება: ჩვენ შევძელით, რომ შეგვეჩერებინა ძუძუს კიბოს განვითარება. მოგეხსენებათ, ავთვისებიანი სიმსივნის შეჩერება წარმოუდგენლად გვეჩვენება და ამას ძალიან ბევრი კვლევა სჭირდება, მაგრამ ჩვენ რა ცდაც ჩავატარეთ, ხუთი ტესტ-სისტემა, ყველგან დადებითი პასუხი მივიღეთ. ახლა გავაგზავნეთ მონაცემები სინგაპურში (გენომის დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში) და მგონია, რომ დადებითი შედეგი უნდა მივიღოთ“, — ასე „ორი სიტყვით“ გვიხსნის ბატონი თეიმურაზი იმ კოლოსალურ შრომას, რასაც ეწევა და იქვე სიამაყით გვიზიარებს, რომ ყველა ამ კვლევაში პროფ. თ. ჯოხარიძის და კათედრის ყველა თანამშრომლის დიდი წვლილია. რაც შეეხება სტუდენტებს, ძალიან მომზადებული და მოტივირებული თაობა მოდისო, ამბობს და გვიყვება, როგორ ინტერესდებიან ისინი კვლევებით, როგორ სურთ, რომ განვითარდნენ და თავისი პატარა წვლილი შეიტანონ მეცნიერებაში.

ოჯახური გარემო

კითხვაზე, თუ რა იყო მისი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი, რომელმაც ასეთი წარმატება განაპირობა, ბატონი თეიმურაზი დაუფიქრებლად ასახელებს ოჯახს და მეუღლეს, რომელიც სტუდენტობის წლებიდან უდგას გვერდით. ცხადია, ადვილი არაა დიდი მეცნიერის ცოლობა, მაგრამ არც ისაა იოლი — იყო საუკუნის მწვრთნელის, მხატვრულ ტანვარჯიშში ქართული სკოლის დამფუძნებლის, ყველა დონის ჩემპიონებისა და პრიზიორების აღმზრდელის — ნელი სალაძის ქმარი და მასთან ერთად ატარო უღელი ისეთი სიყვარულით, როგორზეც ახლა ბატონი თეიმურაზი საუბრობს: „ნელი სტუდენტობისას გავიცანი — ერთად ვსწავლობდით. შეუღლებაზე დიდხანს არ გვიფიქრია — მალევე გადავწყვიტეთ. ერთ დღეს მე, ნელი და ერთი ჩვენი მეგობარი წავედით ხელის მოსაწერად. უკან დაბრუნებულები კაფეში დავსხედით და ერთი ბოთლი შამპანური გავხსენით. აღმოჩნდა, რომ რაღაც ძალიან ძვირს შევეპოტინეთ და ჩემი საათის დატოვება დამჭირდა, რომ შემდეგ დღეს დანაკლისი თანხა მიმეტანა. ასე დავიწყეთ თანაცხოვრება. ჩემი მეუღლე უფლისგან დაჯილდოებული ადამიანია. არის ნამდვილი შემოქმედი და ხელოვნებაც კარგად ესმის. ბრწყინვალედ თარგმნის ქართულ პოეზიას, ფლობს რამდენიმე ენას. მას და მის საქმიანობას ყოველთვის ვგულშემატკივრობ“, — ამბობს ბატონი თეიმურაზი და ოჯახზე საუბრისას განსაკუთრებით ამაყობს შვილებით: ნინო სამი შვილის დედა და ნიჭიერი შემოქმედია, ალექსანდრე კი ჩვენი უნივერსიტეტის და სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. ის მამის კვალს გაჰყვა, მეცნიერებათა დოქტორია და წლების განმავლობაში მუშაობდა იაპონიაში. დღეს კი უკვე სინგაპურში გენომის ინსტიტუტის ტრანსლაციური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელია და საქართველოშიც ხშირად ატარებს საჯარო ლექციებს. ალექსანდრე ორი ვაჟის მამაა — ნიკოლოზი სწავლობს, ხოლო თეიმურაზ (თემუკა) ლეჟავა საქართველოს ელჩია იაპონიაში.

ევროპის საუკეთესო მეცნიერი ფუნდამენტურ გერონტოლოგიაში აქტიურ მუშაობას აგრძელებს და ფიქრობს, რომ კიდევ ბევრი რამ შეუძლია შესძინოს გენეტიკის მიმართულებას. ამაში ბატონი თეიმურაზ ლეჟავას აქტიური და მიზანმიმართული საქმიანობა გვარწმუნებს და ვფიქრობთ — რა კარგი იქნება მალე დადგეს ის დრო, როცა ქართველი მეცნიერი სიამაყით გვამცნობს — მე დავამარცხე სიმსივნე! მე შევანელე დაბერების პროცესი!

მან შეუძლებელი შესაძლებელი და შესაძლებელი ხელმისაწვდომი გახადა

მე-6 გვ-დან

„თენგიზ ცერცვაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ქმნის ეპოქას, ქვეყნის ისტორიას. შიდსის ცენტრის ჩამოყალიბება და C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებული პროგრამის დანერგვა საქართველოში მის სახელს უკავშირდება. ამასთან, იგი არის კარგი მკვლევარი, მასწავლებელი, პროფესორი, ექიმთა მთელი პლეადის აღმზრდელი. ამისთვის მას განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ“, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა.

შიდსთან ბრძოლის თანამედროვე ტიპის სამსახური, რომელიც თენგიზ ცერცვაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა, საერთაშორისო ექსპერტებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საუკეთესოდ და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებად აღიარეს. სწორედ ამ სამსახურის ძალისხმევით საქართველოში აივ/შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემიის თავიდან აცილება გახდა შესაძლებელი; მკვეთრად გაიზარდა აივ/შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებლები, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი, ხოლო დედიდან ბავშვზე აივ/შიდსის გადაცემის შემთხვევები პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. 2009 წელს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრმა, თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით, აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და პიონერული კვლევებისთვის (ჯანმო-ს ფორმულირებით) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდო — Dr. Lee Jong-Wook-ის პრემია მიიღო, რომელიც დღემდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არც ერთ სხვა სამედიცინო დაწესებულებას არ მიუღია.

ქართველ მეცნიერსა და ექიმს, რომელმაც ქართული ჯანდაცვის სისტემაში მთელი ეპოქა შექმნა, ხშირად იწვევენ მომხსენებლად მსოფლიოს ყველაზე მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებზე. მას საქართველოში ციტირების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. აღსანიშნავია, რომ თენგიზ ცერცვაძის გუნდის და აშშ-ს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მიერ 1997-2000 წლებში ერთობლივად ჩატარებული კვლევა აშშ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ერთობლივ პროექტად აღიარეს, რის შედეგადაც მეცნიერი ჯერ აშშ-ის ჯანდაცვის ნაციონალურ ინსტიტუტებში წარსდგა მოხსენებით (ქ. ბეთესდა), 2000 წლის 3 ნოემბერს კი — აშშ-ის კონგრესში, რაც დღემდე უპრეცედენტო შემთხვევად მიიჩნევა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თენგიზ ცერცვაძის საიუბილეო საღამო 3 ივლისს გაიმართა. ღონისძიებას თბილისის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დიმიტრი კორძაია უძღვებოდა.

პირველი ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი

ნატო ობოლაძე

ლალი სურმანიძე

პირველად საქართველოს რეალობაში საერთაშორისო რეფერირებადი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ გამოიცა. პირველი ნომრის პრეზენტაცია მიმდინარე წლის ივლისში გაიმართა. სამეცნიერო ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოიცემა და ქართველი თუ უცხოელი ფსიქოლოგი მეცნიერების ნაშრომებს სამეცნიერო წრეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ჟურნალია, რომელიც ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს ეძღვნება. ჟურნალში ქვეყნდება როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული, ასევე რაოდენობრივ, თვისებრივ და შერეულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ემპირიულ-კვლევითი ნაშრომები და სამეცნიერო მიმოხილვები. გამოცემის საორგანიზაციო და შემოქმედებით საკითხებს ჟურნალის წარმომადგენლობითი საბჭო და სარედაქციო კოლეგია განაგებს. ჟურნალის მართვასა და ორგანიზაციულ საქმიანობას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური უზრუნველყოფს, ხოლო გამოცემას — თსუ-ის გამომცემლობა. სამეცნიერო ღირებულებისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მართვის ორგანოებში ქართველი და უცხოელი მეცნიერები არიან გაწევრიანებული, მათ შორის — დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და პოლონეთიდან მოწვეული სპეციალისტები. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ქართულ-ინგლისურენოვანია.

„საქართველოს და ფსიქოლოგიას საქართველოში თავისი ჟურნალი სჭირდება, რადგან ამ სფეროში მომუშავე ადამიანებმა საკუთარი ცოდნისა და ნაფიქრის ერთმანეთისთვის გაზიარება შეძლონ. უდავოა, რომ ფსიქოლოგიის მეცნიერების არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელია სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. ადრე ჩვენს ნაშრომებს „მაცნეში“ ვაქვეყნებდით, მაგრამ ახლა სამეცნიერო კვლევების საზოგადოებისთვის გაცნობა უმწვავესი პრობლემა გახდა. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ამ საკითხს მოაგვარებს. ჩვენი მთავარი მიზანია ჩამოვაყალიბოთ მაღალი ხარისხის გამოცემა, რისთვისაც სტატიების რეცენზირების პროცესში უცხოელი სპეციალისტებიც ჩავრთეთ. ჟურნალი ორენოვანია. ცხადია, ინგლისურ ენაზე სტატიების წარმოდგენა ინტერნაციონალიზაციისთვის აუცილებელია, თუმცა, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, რომ სამეცნიერო ნაშრომები ქართულ ენაზეც გამოგვექვეყნებინა, რადგან ეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების წინაპირობა გახლავთ. ჟურნალის პირველ ნომერში 4 რუბრიკა გვაქვს. სტატიების თემატიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია რუბრიკების რაოდენობის გაზრდაც. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტმა ნელ-ნელა ისევ ამოისუნთქოს და კვლავაც თქვას საკუთარი სიტყვა ფსიქოლოგიის მეცნიერებაში“, — განაცხადა „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალის“ მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა ლალი სურმანიძემ.

„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალის“ პირველ ნომერში მკითხველი სტატიებს არაერთი აქტუალური ფსიქოლოგიური საკითხების ირგვლივ იხილავს: მათ შორის, დავით ჩარკვიანის — „ალბათური მსჯელობა და განწყობის ეფექტები“; ნათია სორდიასა და ხათუნა მარწყვიშვილის — „ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ შემოქმედებითობასთან“; მარიამ კვიციანისა და მაია მესტვირიშვილის — „რა აყალიბებს მაღალ მიმღებლობას — მორალური ორიენტაციის წყარო და ფსიქოლოგიური მოქნილობა“; ეკა ნადირაძისა და თეონა ლოდიას — „ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან“; ნოდარ ბარამიძის — „ზოგიერთი მოსაზრება ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ“ და სხვა.

„ჩვენი განსაკუთრებული სურვილია, რომ სარედაქციო კოლეგია უცხოელი კოლეგებით გამდიდრდეს. ასევე, ერთგვარი გამოწვევაა რეცენზირების საკითხი, რადგან ჟურნალი საერთაშორისო რეფერირებადია და სტატიების შეფასებისას ერთი სპეციალისტი მაინც უცხოელი უნდა იყოს. გამოცემაზე ერთობლივად ვმუშაობთ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახური და თსუ-ის გამომცემლობა. მომედვნო ნომრისთვის დაგეგმილია ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ჟურნალის რედაქცია უზრუნველყოფს ქართულენოვანი სტატიების თარგმნას. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებშია ხელმისაწვდომი, ელექტრონული ვერსია კი გამომცემლობის ვებ-გვერდზეა განთავსებული“, — გვითხრა ჟურნალის პასუხისმგებელმა მდივანმა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის უფროსმა დიმიტრი ჩუბინიძემ.

„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალის“ რედაქციამ მეორე ნომრისთვის სტატიების მიღება უკვე გამოაცხადა. დედლაინი 31 ოქტომბერია. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება შეუძლიათ მკვლევრებს მსოფლიოს მასშტაბით. წახალისებულია ერთობლივი საერთაშორისო პროექტების შედეგად განხორციელებული კვლევების ამსახველი სტატიები, რომელთაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადაპტირებისა და დანერგვის პოტენციალი გააჩნია და პასუხობს სხვადასხვა პოპულაციის, კულტურისა და საზოგადოების საჭიროებებს. ჟურნალის მეორე ნომერი 2020 წლის ივლისში გამოიცემა.

როგორ არის დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საქართველოში

ახალი სამეცნიერო კვლევა

ნატო ობოლაძე

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო კვლევა გამოიცა. ეს პირველი აკადემიური ნაშრომია, რომელიც აღნიშნულ საკითხს საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე საფუძვლიანად განიხილავს. წიგნში დეტალურად არის აღწერილი საქართველოში მოქალაქეობის მინიჭების, მოქალაქეობიდან გასვლის, შეწყვეტის, ბინადრობის უფლების, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხები; განმარტებულია ინფორმაცია — თუ რა სახის საკუთრების უფლებები არსებობს, რას ნიშნავს შეკრების თავისუფლება, რა პროცედურების გავლაა ამისათვის საჭირო; ასევე განხილულია საარჩევნო უფლებებიც. წიგნში — „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა)“ — თითოეული უფლება და თავისუფლება 5 თავშია გადანაწილებული: მოქალაქეობა, უცხოელთა სტატუსი და უფლებები, საკუთრების უფლება, შეკრების თავისუფლება და საარჩევნო უფლება. საქართველოს კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ვასილ გონაშვილმა, ხოლო საერთო სასამართლოების პრაქტიკა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, სამართლის დოქტორმა ლევან დარბაიძემ მოამზადეს.

„წიგნზე მუშაობა ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამუშაო პროცესს თავისი სირთულეებიც ახლდა, რადგან საკითხებს ვიხილავდით არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ კანონქვემდებარე აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის დონეზე. კანონმდებლობა პერიოდულად იცვლება, დაემთხვა საკონსტიტუციო რეფორმაც და გარკვეული უფლებების სამჯერ დამუშავება მოგვიწია. ფაქტობრივად შეუძლებელია, ერთ ნაშრომში ადამიანის ყველა უფლება და თავისუფლება მოაქციო, ამიტომ ჩვენ რამდენიმე საკითხი ავიღეთ და დეტალურად გავაანალიზეთ. წიგნში განხილულია საქართველოს კანონმდებლობა, პრეზიდენტის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და მინისტრების ბრძანებებიც. გავაანალიზეთ საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილებები. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არა საერთაშორისო კონტექსტში, არამედ უშუალოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე განგვეხილა. შესაბამისად, ნებისმიერ პირს მოქალაქეობის, უცხოელთა უფლებების, საკუთრების უფლების, შეკრების თავისუფლებისა და საარჩევნო უფლების შესახებ თუ რაიმე დაინტერესებს, ერთი ნაშრომიდან შეუძლია ამომწურავი ინფორმაციის მიღება“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ვასილ გონაშვილმა.

ნაშრომი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში მომზადდა. წიგნი, გარდა იმისა, რომ მოქალაქეებს საკუთარი უფლებების უკეთ გაცნობაში დაეხმარება, გამიზნულია თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე „ადამიანის ძირითადი უფლებების“ საგნის სახელმძღვანელოდ. ახალი კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში უკვე ხელმისაწვდომია.

საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე საუკეთესო ანსამბლად „უნივერსიტეტი“ დასახელდა

შურთხია ბეროშვილი

„ქართველებმა გამარჯვების შანსი არც ერთ ქვეყანას არ დაუტოვეს“ — წერდა პოლონური პრესა თსუ-ის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლზე „უნივერსიტეტი“, რომელმაც საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე საუკეთესო ანსამბლის წოდება დაიმსახურა. წელს ანსამბლმა 25 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით რამდენიმე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და სამშობლოში ჯილდოებით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის ინფორმაციით, ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ დაარსების დღიდან წარმატებით მოღვაწეობს, რასაც მოწმობს მრავალი ჯილდო, რომელიც ანსამბლმა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებზე მოიპოვა. „ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უნივერსიტეტს“ მართლაც დიდი ტრადიციები გააჩნია. იგი ჯერ კიდევ 1934 წელს, ცნობილი ქორეოგრაფის ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. წლების მანძილზე იცვლებოდა ხელმძღვანელობა და ანსამბლის შემადგენლობა. ამ პერიოდის განმავლობაში ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ ქართული ცეკვის გამოჩენილი ქორეოგრაფები: ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე, რომან ჭოხონელიძე, იასონ ზედაშიძე. დღეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ ყურაშვილი, ხოლო მისი მთავარი ქორეოგრაფი გახლავთ დავით კიკვაძე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანსამბლში ირიცხებიან მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები და სწორედ მათი და უნივერსიტეტის არაერთი თაობის სტუდენტების დამსახურებაა ის უამრავი წარმატება, რაც ანსამბლმა სხვადასხვა პრესტიჟულ ფესტივალებზე მოიპოვა“, — ამბობს ირაკლი ხარჯავანიძე.

ქორეოგრაფიული ანსამბლის „უნივერსიტეტის“ მთავარი ქორეოგრაფის დავით კიკვაძის ინფორმაციით, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ანსამბლმა თითქმის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა. მათ შორის აღსანიშნავია ბულგარეთის ფესტივალზე მიღებული გრან-პრი, ანსამბლი ესპანეთში ვალენსიის ფოლკლორულ ფესტივალზე „გრანდ კანარია“ ასევე გრან-პრის მფლობელი გახდა, იტალიაში გამართულ ნაციონალური ცეკვების ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა და სხვა... ეს არის არასრული ჩამონათვალი ანსამბლის ბოლოდროინდელი წარმატებებისა“, — ამბობს დავით კიკვაძე.

ანსამბლის პოპულარობას და წარმატებას მისი მდიდარი რეპერტუარიც განაპირობებს: მათ შორის გამორჩეულია: „გურული ფერხული ფარცით“, „ქართული“, „ხორუმი“, „აჭარული“, „ფარიკაობა“ „ყაზბეგური“, „სამაია“, „მლეთური“, „შეჯიბრი“, „ქალთა ხორუმი“, „ნარნარი“, „რაჭული“ „სვანური“.

„ანსამბლ „უნივერსიტეტს“ 2003 წლიდან ვხელმძღვანელობ. თსუ-ის ხელმძღვანელობის, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და ქალაქ თბილისის მერიის დიდი მხარდაჭერით ანსამბლი ყოველ წელს მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ჩვენი ყოველი ვიზიტი ფესტივალებზე და მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში ყოველთვის წარმატებულია. ანსამბლი არაერთი ჯილდოს მფლობელია. 1994 წლიდან 2001 წლამდე მეც ვცეკვავდი ანსამბლში. ეს ჩემთვის უბედნიერესი წლები იყო. შემდეგ ბატონი თენგიზ ყურაშვილის მოწვევით დავბრუნდი ანსამბლში, როგორც ქორეოგრაფიული ხელმძღვანელი. ანსამბლმა ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში წარმატებით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყნებში და მრავალი წარმატება მოიპოვა. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ რუმინეთის ქალაქ ვასლუიში გამართულ ფესტივალზე, რომელიც მსოფლიო ფესტივალების ორგანიზაცია „სიოფის“ მიერ იყო დაგეგმილი (იქ მონაწილეობის მიღება ყველა ქვეყნის ანსამბლისთვის პრესტიჟულია), ჩვენი ანსამბლი საუკეთესოდ დასახელდა. ასეთივე წარმატებით გავმართეთ კონცერტები ქალაქ ბისტრიცაში, სადაც კვლავ საუკეთესო ანსამბლის წოდება მოვიპოვეთ. პოლონეთში, ქალაქ პოზნანში ანსამბლი კვლავ საუკეთესოთა შორის დასახელდა და SMS გამარჯვებულიც გახდა“, — აღნიშნა დავით კიკვაძემ.

მისი თქმით, ანსამბლის რეპერტუარის გამდიდრებაზე თავის კოლეგასთან, „სუხიშვილების“ ყოფილ მოცეკვავესთან, ქორეოგრაფ ზვიად თაყაიშვილთან ერთად ზრუნავს. „ჩვენ ერთად ვდგამთ ცეკვებს, კონცერტი ყოველთვის მთავრდება „ლეთურით“, სადაც არის „მუხლები“, „ცერები“... ამ ცეკვას განსაკუთრებით აღფრთოვანებით ხვდებიან საზღვარგარეთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ის უკვე გაწერილია: ბულგარეთის ქალაქ ველიკოტერნოვოში საერთაშორისო ფესტივალზე მისაღებად უკვე მივიღეთ მოწვევა. ანსამბლს დაგეგმილი აქვს კონცერტების გამართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. წინ კვლავ დიდი გეგმები და წარმატების მოლოდინია“, - ამბობს დავით კიკვაძე.

რაც შეეხება თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებს, ირაკლი ხარჯავანიძის ინფორმაციით, ამ კუთხით მრავალი სიახლე იგეგმება. „აღსანიშნავია, რომ 8 სექტემბერს უნივერსიტეტის მომღერალთა გუნდი (კაპელა) საბერძნეთში, ქალაქ პარალიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა, სადაც 15 სექტემბრამდე სხვა ქვეყნების გუნდებთან ერთად გამართავს კონცერტებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური მზადება ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის, ჩვენი დეპარტამენტის მიერ გამოცხადდება შემოქმედებით ჯგუფებში სტუდენტების მიღება. ჩვენი მთავარი მიზანია, ყველა სტუდენტს მივცეთ საშუალება თავიანთი შემოქმედებითი უნარები გამოავლინოს“, — ამბობს ირაკლი ხარჯავანიძე.

თსუ სპორტში წარმატებებს არავის უთმობს

თამარ დადიანი

თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სპორტული გუნდები მიმდინარე სასწავლო წლის ზაფხულის სეზონზეც აქტიურად და წარმატებულად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სპორტულ ტურნირებში.

უნივერსიტეტის ფუტსალის სტუდენტურმა ნაკრებმა მიმდინარე წლის ზაფხულში ფუტსალის სტუდენტურ ლიგაზე მოიპოვა ოქროს მედალი და საუნივერსიტეტო სივრცეში მეხუთედ დაეუფლა ყველაზე პოპულარული ჩემპიონატის თასს. ჩვენმა გუნდმა 3 ივლისს გამართულ ფინალურ მატჩში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი 2:1 დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა (უნივერსიტეტს ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული ფუტსალის სტუდენტური ლიგა).

***

15-23 ივლისს პორტუგალიის ქ.ბრაგამ უმასპინძლა ევროპის საუნივერსიტეტო პირველობას ფუტსალში, რომელშიც მონაწილეობდა ევროპის 12 ქვეყნის (პორტუგალია, ესპანეთი, უკრაინა, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ხორვატია, საფრანგეთი, ისრაელი, რუსეთი და ნორვეგია) წამყვანი უნივერსიტეტების 24 გუნდი. საუნივერსიტეტო პირველობაზე საქართველოს სახელით წარსდგა თსუ-ის ფუტსალის გუნდი, რომელიც შეჯიბრებაში ზედიზედ მესამედ იღებდა მონაწილეობას. თსუ-ის ფუტსალის გუნდმა ქ. ბრაგაში დასრულებულ ევროპის ფუტსალის საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავა. დავით ბობოხიძის გაწვრთნილმა გუნდმა დასკვნითი შეხვედრა სანქტ პეტერბურგის უნივერსიტეტთან გამართა და 2:0 გაიმარჯვა. მე-9 წუთზე გოლი ნიკოლოზ კურტანიძემ გაიტანა, ხოლო 39-ე წუთზე საბოლოო, გამარჯვების გოლი ვახტანგ ჯვარაშვილმა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტის გუნდი სხვადასხვა დროს არის ევროპის სტუდენტური ჩემპიონატის ორგზის და ერთგზის IV და II ადგილის მფლობელი.

***

თსუ-ის ფუტსალის გუნდები მონაწილეობას იღებენ საქართველოს ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და მე-2 ლიგაში. უმაღლეს ლიგაში უნივერსიტეტის გუნდმა დაიკავა მე-3 ადგილი, ხოლო მეორე ლიგაში თსუ-ის სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს მედლები.

***

2019 წელი წარმატებული გამოდგა უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბისთვისაც. თსუ-ს დიდი ტრადიციები გააჩნია კალათბურთში და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კალათბურთის განვითარებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, უნივერსიტეტს არ ჰყავდა გუნდი კალათბურთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს — სუპერ ლიგაში. გასულ წელს თსუ-ის გუნდმა მოახერხა რანგით მეორე საკალათბურთო ლიგის (ა ლიგა) მოგება და რამდენიმე წლიანი პაუზის შემდგომ კვლავ დაუბრუნდა სუპერლიგას, სადაც პირველივე წელს შეძლო ტურნირის რეგულარულ ეტაპზე IV ადგილის დაკავება. პლეიოფში გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, რაც პირველი სეზონისათვის საკმაოდ კარგი შედეგია. ყოველივე ეს გვაძლევს იმედს, რომ მომავალ წელს თსუ-ის საკალათბურთო კლუბი უფრო წარმატებით იასპარეზებს.

IPEC-ის საკვირაო სკოლა მოსწავლეებისთვის

ნატო ობოლაძე

ინოვაციურ-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი (IPEC) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ახალგაზრდებს თვითრეალიზაციისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს სთავაზობს. ცენტრი მსმენელებს პროფესიულ საკითხებში ამზადებს, რისთვისაც დისკუსიების, სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ფორმატს იყენებს. სწავლება ევროპაში აპრობირებული მეთოდებით მიმდინარეობს. უპირატესობა საკითხების პრაქტიკულ შესწავლასა და განზოგადებას ენიჭება. ცენტრის ხელმძღვანელობა ტრენერებს მათი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით არჩევს.

„ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა ინოვაციურ საკითხებთან დაკავშირებით და შევავსოთ ის ცოდნა, რასაც სტუდენტები უნივერსიტეტში იღებენ. აქედან გამომდინარე, ვიწვევთ იმ გამოცდილ პრაქტიკოს იურისტებსა თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებსაც სტუდენტებთან უშუალოდ შეხება არ აქვთ. მაგალითად, მოსმენების შესახებ კანონმდებლობის განხილვისას, მოვიწვიეთ უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი დავით გაბახაძე, რომელმაც ამ საკითხებზე დაწვრილებით ისაუბრა. მაგალითად — როგორ მივმართოთ სტრასბურგის სასამართლოს? ამ თემაზე მოწვეული გვყავდა იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი და ა.შ.“, — აღნიშნა ცენტრის დამფუძნებელმა ვასილ გონაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ვასილ გონაშვილმა ინოვაციურ-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი (IPEC) გასულ წელს დააფუძნა. ცენტრის ორგანიზებით, ამ დროის განმავლობაში, დაახლოებით 20-მდე საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა. ამჯერად, „ბავშვთა ინტელექტუალურ საკვირაო სკოლაში“ მიმდინარეობს მიღება, რომელიც თსუ-სა და IPEC-ის ერთობლივი პროექტია. საკვირაო სკოლა სპეციალურად მოსწავლეებისთვის ჩამოყალიბდა და მისი მიზანია მათთვის იმ ცოდნის გადაცემა, რაც საჯარო სკოლის სასწავლო პროგრამებში არ შედის. მსმენელებს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წაუკითხავს ბავშვთა უფლებების, საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, გეოგრაფიული უცნაურობების, ლოგიკური ამოცანების, ასტრონომიის, კრიმინალისტიკის თემებზე. საკვირაო სკოლის ფარგლებში მსმენელები საუნივერსიტეტო გარემოსაც გაეცნობიან.

„თბილისში ბევრი საკვირაო სკოლა არსებობს, თუმცა „ბავშვთა ინტელექტუალურ საკვირაო სკოლას“ რამდენიმე უპირატესობა აქვს, მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ სწავლება საუნივერსიტეტო გარემოში მიმდინარეობს, მათ ლექციებს თსუ-ის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები უკითხავენ. ჩვენი სასწავლო პროგრამა ბავშვების ინტელექტუალურ ზრდაზე, ზოგადი ცოდნის გადაცემაზე, მეცნიერებაში არსებული სიახლეების გაცნობაზეა ორიენტირებული. ჯგუფები 10 ან 15 მსმენელისგან შედგება, რადგან პრაქტიკული სამუშაოებისას სწავლება ბევრად ნაყოფიერია. ჩვენი მიზანია მსმენელები უნივერსიტეტელებად აღვზარდოთ“, — განაცხადა ინოვაციურ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელმა ვასილ გონაშვილმა.

„ბავშვთა ინტელექტუალური საკვირაო სკოლა“ 2019 წლის დასაწყისში გაიხსნა. სწავლება 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მსმენელებს ლექციები ისტორიის, ეთნოგრაფიის, ჩვენი უფლებების, ხელოვნების, კრიმინალისტიკის, ლოგიკის, გეოგრაფიული უცნაურობებისა და ჩვენი სამყაროს საგნებში წაეკითხათ. პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებოდათ ფიზიკასა და ქიმიაში. კურსდამთავრებულებს თსუ-სა და IPEC-ის ერთობლივი სერტიფიკატები გადაეცათ. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო ტრენინგები — „ვისწავლოთ ჩვენი უფლებები როლური თამაშებით“. იმიტირებული სასამართლო პროცესები, კაზუსური და როლური თამაშების სახით ტრენინგები ჩაატარეს მოსამართლეებმა: ბადრი კოჭლამაზაშვილმა, ლევან დარბაიძემ და ლეილა კოხრეიძემ, პროკურორმა მარიამ გოგორელიანმა, თსუ-ის პროფესორებმა ნანა ჭიღლაძემ და ვასილ გონაშვილმა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ მაჭარაძემ. მნიშვნელოვანია, რომ პროექტში რეგიონული საჯარო სკოლების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

ინოვაციურ-პრაქტიკული საგანმანათლებლო ცენტრი (IPEC) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა 10-მდე ქართულ უმაღლეს სასწავლებელთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.

თსუ-ის მეცნიერი ანტარქტიდის ჯვლევით ცენტრში

ახალგაზრდა მეცნიერმა, თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელმა, გეოგრაფიის დოქტორმა ლევან ტიელიძემ ანტარქტიდის კვლევითი ცენტრის და ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის (ახალი ზელანდია) სადოქტორო პროგრამაზე სწავლის სრული 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

ლევან ტიელიძე პირველი ქართველი დოქტორანტია, რომელიც ახალ ზელანდიაში, ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტში ისწავლის. დაფინანსება მოიცავს ყოველთვიურ სტიპენდიას, სწავლის საფასურს, საველე კვლევებს, სამეცნიერო ვიზიტებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სხვა აქტივობებს.

ლევან ტიელიძეს გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა გეომორფოლოგია-გლაციოლოგიის მიმართულებით. მეორე სადოქტორო დისერტაციას ანტარქტიდის კვლევით ცენტრის პროგრამის დასრულების შემდეგ ახალ ზელანდიაში დაიცავს. დისერტაცია კოსმოგენური ნაფენებით ძველი გამყინვარების კვლევას ეხება.

„შეუძლებელია ეს შესანიშნავი გარემო არ მოგწონდეს. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რათა ნებისმიერი დაინტერესებული ახალგაზრდა კარგ მეცნიერად ჩამოყალიბდეს. ჩემთვის ყველაზე მეტად სასიხარულო ის გარემოებაა, რომ აქაური დაფინანსებით მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარებას საქართველოშიც შევძლებ, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გლაციოლოგიურ (მყინვარების) კვლევებს კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო ხასიათს შესძენს მსოფლიო მასშტაბით.

უკვე დავიწყე მეორე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა. თემა საკმაოდ კომპლექსური და საინტერესოა. იგი გულისხმობს მეოთხეული პერიოდის (გეოლოგიური დრო) კლიმატის და გამყინვარების პარამეტრების აღდგენას დედამიწის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროებში. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე ძველი გამყინვარების კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან პალეო-კლიმატი და ძველი გამყინვარების ნაშთები შეიძლება წარმოადგენდეს ერთგვარ გასაღებს დედამიწაზე მომავალი კლიმატის ცვლილების დადგენის საქმეში. ანტარქტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა წარმატება შემდეგი სიტყვებით მომილოცა: ეს იყო ყველაზე მაღალი კონკურსი, რომელიც უნივერსიტეტს ოდესმე ჰქონია, ამიტომ კიდევ უფრო შთამბეჭდავია ის, რომ თქვენ წარმატებას მიაღწიეთ“, — იხსენებს ლევანი. მისი სამომავლო გეგმები საქართველოში ამ მიმართულებით სრულფასოვანი კომპლექსური კვლევების ჩატარებას უკავშირდება. ახალგაზრდა მეცნიერი გლაციოლოგიურ (მყინვარების) კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც განახორციელებს.

ლევან ტიელიძის სამეცნიერო ინტერესთა სფეროებია: გლაციოლოგია, გეომორფოლოგია, დისტანციური ზონდირება, გეო საინფორმაციო სისტემები. არის მსოფლიო მყინვარების მონიტორინგის ცენტრის (შვეიცარია) ოფიციალური კორესპონდენტი საქართველოში, საერთაშორისო გლაციოლოგიური საზოგადოების წევრი (გაერთიანებული სამეფო), საერთაშორისო კრიოსფერული ასოციაციის წევრი, ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის წევრი, ამერიკის გეოლოგიური საზოგადოების წევრი, საერთაშორისო სამთო კარტოგრაფიული კომისიის წევრი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრი. ავტორი და თანაავტორია 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის, რომლებიც საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

ლევან ტიელიძე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერად დასახელდა.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და პეკინის უნივერსიტეტს შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტსა და პეკინის (ჩინეთი) უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და პეკინის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ვიცე დეკანმა ვანგ ჟიფენგმა მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად, განიხილება თსუ-ის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვა (პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ნინო ჩიხლაძე) ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები. შეხვედრაზე პეკინის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დელეგაცია, მათ შორის, გლობალური ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ძი-ჯი ძენი გაეცნო თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებს, სამედიცინო პრაქტიკული მეცადინეობების სისტემას.

„ეს არის პირველი მემორანდუმი სამედიცინო მიმართულებით, რომელიც გაფორმდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსიტეტთან — პეკინის უნივერსიტეტთან. საამაყოა, რომ სამედიცინო ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით გვექნება გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი კვლევები და ვვარაუდობთ, რომ წლების განმავლობაში უფრო მეტი სტუდენტი გვეყოლება, როგორც აქ — საქართველოში, ისე პეკინის უნივერსიტეტში წარგზავნილი“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„პირველად ვიმყოფები საქართველოში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მემორანდუმის ხელმოწერით მოხდება ჩვენი უნივერსიტეტების ძალიან კარგი კოლაბორაცია“, — აღნიშნა ვანგ ჟიფენგმა.

პეკინის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის ინიციატივით, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები 8-12 აპრილს სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პეკინის უნივერსიტეტში. ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა გლობალური ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროფესორ ძი-ჯი ძენისთან და დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალთან, პეკინის უნივერსიტეტის მესამე ჰოსპიტალის ხელმძღვანელ პირებთან და ექიმებთან. თსუ-ის დელეგაციის წევრებმა პეკინის უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალს წარუდგინეს მოხსენებები ჯანდაცვის და განათლების აქტუალურ თემებზე.

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ᲬᲔᲚᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 64 ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ. ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ 50, 70, 100% �გᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲗᲐ ᲨᲝᲡ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები უკვე რამდენიმე წელია წარმატებულ საქმიანობას ეწევა და აბიტურიენტების მხრიდან უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება.

„აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიზანია სწავლების ყველა საფეხურზე მისაღები გამოცდით გათვალისწინებული პროგრამით აბიტურიენტთა სრულფასოვანი მომზადება, აბიტურიენტთა პროფესიული ორიენტაცია და აკადემიური კარიერის დაგეგმვაში დახმარება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეპეტიტორებთან სიარულს, დადებითთან ერთად, ბევრი უარყოფითი მხარეც ახლავს თან. ერთ-ერთია ის მძიმე ფინანსური ტვირთი, რომლის აღება საკუთარ თავზე უწევს აბიტურიენტის ოჯახს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი აბიტურიენტი მომზადებას 2 წლით, ან უფრო ადრე იწყებს და მშობლების მიერ შვილების სწავლაში გადახდილი ფულის რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. ჩვენი ცენტრი კი მშობლებს ამ კუთხით მნიშვნელოვან შეღავათს უწევს. კურსის განმავლობაში აბიტურიენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ უნივერსიტეტს, მის საგანმანათლებლო პროგრამებს, მოისმინონ მათთვის საინტერესო ლექციები, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სხვადასხვა აქტივობაში და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მომავალი პროფესიის შესახებ“, — აცხადებს თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი მამულაშვილი.

აბიტურიენტებს ცენტრში ამზადებენ თსუ-ის საუკეთესო და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ზრუნავენ ახალგაზრდების განათლებაზე და აძლევენ მათ შესაძლებლობას, გახდნენ წარმატებული სტუდენტები. ყოველ საგამოცდო საგანში მომზადება გამორჩეულია სწავლების მაღალი დონით, აბიტურიენტების პედაგოგებთან შემოქმედებითი ურთიერთობით, კეთილმოწყობილი სამუშაო გარემოთი.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია უკვე დაიწყო და 27 სექტემბრამდე გაგრძელდება.

რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები:

- აბიტურიენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- აბიტურიენტის დაბადების მოწმობის ასლი

სწავლის ხანგრძლივობაა 2019 წლის 1 ოქტომბერიდან 2020 წლის 1 ივლისამდე.

თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრი. ილ ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ პირველი კორპუსი abiturienti@tsu.ge facebook.com/ თსუ აბიტურიენტთა მომზადება — TSU training courses for entrants.

ტელ: +995 597-222-616.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲣᲑᲐᲓᲚᲝ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ Ა�კᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Ა�კᲐᲓᲔᲛᲘ�კᲝᲡᲡ, ᲥᲘᲠᲣᲠ�გᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲘᲡ ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲡ, ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲛᲔᲠᲘᲢᲣᲡᲡ, ᲣᲠᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ, ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲡ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ (ᲚᲐᲣᲠ) ᲛᲐᲜᲐ�გᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚ ᲒᲖᲐᲡ.

სამედიცინო კარიერის გზა ბატონმა ლაურიმ სკოლის დამთავრებისთანავე აირჩია და 1967 წელს მოსკოვის ი.სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ჩააბარა საკავშირო სამედიცინო აკადემიის ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვის ლაბორატორიის ასპირანტურაში, სადაც სამი წელი სწავლობდა. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თირკმლის კონსერვაცია ჰიპოთერმიის მეთოდით ჰიპერბარიული ოქსიგენაციის გამოყენებით“ და დაბრუნდა საქართველოში, სადაც 1972-1984 წლებში მუშაობდა კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში. აქ მისი ინიციატივით დაარსდა ორგანოთა გადანერგვისა და ჰემოდიალიზის ლაბორატორიები, ასევე თირკმლის გადანერგვის ცენტრი.

მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას ორგანოთა გადანერგვით დაინტერესებული ლაური მანაგაძე აკადემიკოს ლეო ბოკერიას რჩევით, როგორც წარმატებული სტუდენტი, მოხვდა ახალგაზრდულ სამეცნიერო წრეში, რომელსაც აკადემიკოსი კოვანოვი ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ შეუდგა იგი მისთვის მეტად საინტერესო ტრანსპლანტაციის საკითხის ღრმად შესწავლადაუფლებას. უროლოგიის პროფილით ამ სფეროს კი იგი საბოლოოდ დააკავშირა გერმანელმა აკადემიკოსმა მებელმა, რომელსაც 1975 წელს შეხვდა აღმოსავლეთ ბერლინში.

1975-79 წლებში ლაურ მანაგაძემ სტაჟირება გაიარა გერმანიაში, უროლოგიურ კლინიკაში, რომელიც პროფესორმა მებელმა გახსნა ბერლინში საბჭოთა კავშირში 20-წლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგ. ამდენად იგი კარგად იცნობდა საბჭოთა კავშირს და იცოდა, თუ სად იქნებოდა უკეთესი ნიადაგი ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. პროფესორმა ლ. მანაგაძეს მთავარ პროფილად უროლოგობა ურჩია, რადგანაც ტრანსპლანტაციისათვის საქართველო არ წარმოადგენდა ფართო პრაქტიკულ ასპარეზს.

ლაურ მანაგაძე დაბრუნდა საქართველოში, რუსეთში კი სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ჩავიდა 1981 წელს. 10 წლის პრაქტიკა, ექსპერიმენტები, გამოცდილება გამოიყენა მეტად საინტერესო სადისერტაციო ნაშრომში სათაურით „მოზრდილ რეციპიენტთათვის ბავშვის თირკმლის ტრანსპლანტაცია“. ამ ნაშრომს მსოფლიო გამოხმაურება ჰქონდა, რამდენადაც მასში წარმოჩენილია თირკმლის გადანერგვის მეთოდოლოგიური გზები, მათ შორის ექსპერიმენტი ცხოველებზე, რაც კვლავაც პროფესორ მებელის რჩევით ჩატარდა.

გერმანიაში განვლილმა პრაქტიკამ უაღრესად დიდი გამოცდილება შესძინა ქართველ ექიმს. 1976 წელს პირველად საქართველოში ლ. მანაგაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა თირკმლის გადანერგვის ოპერაციები და ეს პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება უროლოგიის ეროვნულ კლინიკაში.

1985 წლიდან ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (2000 წლიდან — ცენტრის) დირექტორი იყო პროფესორი ლაურ მანაგაძე, რომელიც მუდმივად ცდილობდა დარგში სიახლეების დანერგვას. მან შესანიშნავი კონტაქტები დაამყარა ევროპის უმსხვილეს საუნივერსიტეტო კლინიკების ხელმძღვანელებთან. ყველა მისი მოწაფე, რომელიც გახდა წარმატებული უროლოგი, რამდენჯერმე არის ხანგრძლივი მივლინებით ნამყოფი ევროპისა და მსოფლიოს წამყვან უროლოგიურ კლინიკებში. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან, როცა ქვეყანა პოლიტიკურ იზოლაციაში იყო (90-იანი წლებიდან დღემდე), უროლოგიის ცენტრში არ შეწყვეტილა გამოჩენილი უცხოელი უროლოგების ვიზიტები, რომლებიც ატარებდნენ სადემონსტრაციო თუ სასწავლო ოპერაციებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო დაწესებულების და, ზოგადად, ქართული უროლოგიის განვითარებას. ეს კი, თავისთავად, ლაურ მანაგაძის, როგორც ხელმძღვანელის, მეცნიერისა და პედაგოგის, ნოვატორულ თვისებებზე მიუთითებს.

ლ. მანაგაძის მეცნიერული და პრაქტიკული ინტერესების სფერო მოიცავდა თანამედროვე უროლოგიის ყველა ძირითად მიმართულებას, როგორიცაა: რეკონსტრუქციული ქირურგია უროლოგიაში, ონკოუროლოგია, ენდოსკოპიური, მათ შორის ლაპარასკოპიული და პერკუტანული ქირურგია, შარდკენჭოვანი დაავადების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა, ბავშვთა უროლოგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია.

მსოფლიო უროლოგიაში გამორჩეულია ლ. მანაგაძის კვლევები ნაწლავის პლასტიკის შესახებ. მან თავის კოლეგებთან ერთად შეიმუშავა დაბალი წნევის ნაწლავოვანი რეზერვუარის ფორმირების მეთოდი — „თბილისის ტოპრაკის“ სახელით, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და აღნიშნული „ოპერაციული ტექნიკა“ გამოიცა 7 ენაზე: გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ, პორტუგალიურ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე.

ლაურ მანაგაძის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელიც 350 პუბლიკაციას, ასევე, სამეცნიერო სტატიებს, სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას, გამგონებებსა და მონოგრაფიებს მოიცავს. არის 17 წიგნის თანაავტორი. პუბლიკაციათა უმრავლესობა უცხოურ პერიოდიკაშია გამოქვეყნებული და დიდი ინტერესით სარგებლობს მსოფლიო უროლოგიურ წრეებში. მონოგრაფიები „ოპერაციული უროლოგია“ და „უროლოგია“ 2003, 2009 და 2012 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. იგი იყო ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო სიახლენის“ (Georgian Medical News) დამფუძნებელი და სამეცნიერო რედაქტორი.

2000 წელს აკადემიკოსმა ლ. მანაგაძემ დააფუძნა საქართველოს უროლოგთა ასოციაცია (სუა) და გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. იგი ერთადერთი ქართველი უროლოგია, რომელიც ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი გახდა. წლების განმავლობაში იყო კიბოს კვლევისა და მკურნალობის ევროპული ორგანიზაციის წევრი და სამეცნიერო თანამშრომლობა ჰქონდა ქ. მანჰაიმის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკასთან. ონკოუროლოგიაში ჩატარებული კვლევებისა და ამ დარგში სამეცნიერო ნაშრომისათვის ლ. მანაგაძე დაჯილდოვდა გრ. მუხაძის მედლით, რაც საერთაშორისო პრიზების გვერდით უდავოდ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს წარმოადგენს ქართველი ექიმისათვის. ლ. მანაგაძის ხელმძღვანელობით არაერთხელ ჩატარდა სხვა ქვეყნებთან ერთად კოოპერირებული კვლევები, რამაც ხელი შეუწყო ქართული უროლოგიის ინტეგრაციას ევროპულთან. ამ პროფილით ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას ადასტურებს მონაწილეობა უამრავ კონგრესში, სიმპოზიუმსა და კონფერენციაში; ასევე ანალოგიური ღონისძიებების მოწყობა და ორგანიზება საქართველოში. ლ. მანაგაძე ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდა და პერსპექტიული სპეციალისტების ჩართვას ამგვარ ფორუმებში, რათა ისინი ჭეშმარიტ პროფესიონალებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

ამ ხაზით გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ლაურ მანაგაძის პედაგოგიური მოღვაწეობაც. 1991-1992 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი; 1997-დან 2012 წლამდე იყო ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის სრული პროფესორი, ხოლო 2012 წლიდან იყო უნივერსიტეტის ემერიტუსი. მას განსაკუთრებულად პრიორიტეტული დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიმართ და ძალისხმევას არ იშურებდა მათი პროფესიული განვითარებისათვის. ამას ადასტურებს 12 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია, რომლებიც მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაიცვეს.

უროლოგიის კათედრის, მედიცინის ფაკულტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით გვინდა ქედი მოვიხაროთ მისი ხსოვნის წინაშე, მადლობა ვუთხრათ იმ ღვაწლისთვის, რაც მას ქართული უროლოგიის, ქართული მედიცინის და უნივერსიტეტის წინაშე მიუძღვის.

ყოველთვის გვეძვირფასებოდა...

წელს პირველად ვეღარ მიულოცავს პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას...

წელს პირველად ვეღარ ეტყვის უნივერსიტეტის წინ შეკრებილ უამრავ სტუდენტს — თუ რა ძვირფასი იყო მისთვის უნივერსიტეტი...

წელს პირველად ვეღარ მოვიწონებთ თავს ნოდარ ხადურის, როგორც უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებულის, გამოსვლით, რომელიც სტუდენტობას უნივერსიტეტისადმი უსაზღვრო სიყვარულით მუხტავდა...

ნოდარ ხადური წავიდა... დაწყვიტა გული ყველა მის კოლეგას.

„მრავალი წოდებისა და ჯილდოს მიუხედავად, მისთვის ყველაზე ძვირფასი მაინც უნივერსიტეტის პროფესორის წოდება იყო. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია უნივერსიტეტისთვის, სტუდენტებისთვის და ქართული საზოგადოებისთვის“, — ასე გამოხატავს თავის გულისტკივილს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე.

გარდა იმისა, რომ ნოდარ ხადური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ, იგი უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედკოლეგიის გამორჩეული წევრიც იყო წლების მანძილზე.

არ მავიწყდება, როცა ფინანსთა მინისტრი გახდა, ვკითხე — მოახერხებდა თუ არა რედკოლეგიის სხდომებზე დასწრებას?

— რას ქვია, უნივერსიტეტის გაზეთი ჩემთვის პირველი პრესაა და ყველა საქმეს გადავდებ და მოვალ... — ეს იყო მაშინ მისი პასუხი და არასდროს გაუცდენია რედკოლეგიის სხდომები... უხაროდა, რომ უნივერსიტეტის გაზეთის პოლიტიკის და მიმართულებების განსაზღვრაში იღებდა მონაწილეობას... ამით ძალიან კმაყოფილი იყო... დიდბუნოვანი ადამიანები ხომ უბრალონი არიან... უბრალოდ, ჩვენდა სავალალოდ, ადამიანების დიდბუნოვნებასა და სიდიდეზე, მათ განუმეორებლობასა და კაიკაცობაზე, უმეტესწილად, მისი გარდაცვალების შემდეგ ვიწყებთ ხოლმე საუბარს... ცოცხალს ხომ ხშირად არ ვუფრთხილდებით, არ ვაფასებთ, არ ვეფერებით...

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ამ მხრივ გამონაკლისია, რადგან ჩვენ წლების მანძილზე დიახაც რომ მოვახერხეთ — გვერდში დავდგომოდით ნოდარ ხადურს მაშინ, როცა იგი გაუგებარი მიზეზების გამო უნივერსიტეტიდან განდევნეს (იყო ასეთი სამარცხვინო შემთხვევაც, რითაც დიდი გულისტკივილი მიაყენეს); ჩვენი გაზეთი არაერთგზის უთმობდა შემდგომ უკვე უნივერსიტეტში აღდგენილს სიტყვას — ვაქვეყნებდით მის საინტერესო საჯარო ლექციებს, საუბრებს სხვადასხვა ეკონომიკურ თემებზე და შორიდანაც ვეფერებოდით, რადგან გვეძვირფასებოდა... ამ მხრივ ჩვენ გულნაკლულნი ნამდვილად არ ვართ... მაგრამ ქართული საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის გასაგონად გვინდა დავწეროთ — თქვენ უკვე დაიგვიანეთ!

დღევანდელი საუნივერსიტეტო საზოგადოება კი, იმედია, ღირსეულად მიაგებს პატივს ბოლო გზაზე გაცილებისას და მუდამ შემოინახავს მის სახელს, როგორც უნივერსიტეტისთვის ბოლომდე დახარჯული პროფესორ-მასწავლებლისა, მოქალაქისა, პიროვნებისა, კაცისა...

ნინო კაკულია,
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი

გადაცემა „უნივერსიას“ ახორციელებს თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფი.

გადაცემა „უნივერსია“ მოიცავს:

- უნივერსიტეტის ახალ ამბებს – „ქრონიკებს“ (უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების, ღონისძიებების, კონფერენციების, იუბილეების, საღამოების და ა.შ. გაშუქება);
- დოკუმენტურ მინი-ფილმებს (უნივერსიტეტში წარსულსა თუ აწმყოში მოღვაწე სახელოვანი მეცნიერების თაობაზე 20-25 წთ-იანი ფილმების მომზადება);
- საჯარო ლექციებს (უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა საჯარო ლექციების ჩაწერა/გავრცელება).

სატელევიზიო გადაცემა — „უნივერსია“ თსუ-სა და საქართველოს „რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კვირაში ერთხელ გადის რეგიონულ ტელევიზიებში.

გადაცემა „უნივერსია“ თსუ-ის მულტიმედია ცენტრის ბაზაზე მზადდება.

უყურეთ გადაცემას

„უნივერსია“

(ყოველ შაბათ-კვირას)
და მოძებნეთ ინფორმაცია
საკუთარ თავზე,
საკუთარ წარმატებაზე,
თქვენს უნივერსიტეტზე
და თქვენს შესახებ
არაერთი რაკურსით

არხებზე:

TV 25 (აჭარა),
გურჯაანი (კახეთი),
რიონი (ქუთაისი, იმერეთი),
გურია (გურიის რეგიონი),
„მეცხრე ტალღა“ (ფოთი, სამეგრელოს ნაწილი),
დია (შიდა ქართლი),
ფარვანა (ნინოწმინდა, ახალციხე),
ATV 12 (ახალქალაქი),
მარნეული (მარნეული, ქვემო ქართლი),
ოდიში (სამეგრელო, ზემო-სვანეთი),
ეგრისი TV (სენაკი, მარტვილი),
არგო (ზესტაფონი)

ხელმისაწვდომია სილქნეტის და მაგთის აბონენტებისთვის, ასევე **myvideo.ge**-ზე

რამდენი გვიყურებს? რამდენი გიცნობთ? რამდენი ირჩევს „უნივერსიას“? რამდენი უყურებს გადაცემას თსუ-სადმი ინტერესით?

გადაცემის მონიტორინგის მიზნით, რეგიონული მედიის აუდიტორიის დათვლას ახორციელებს კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსი“, რომელიც პროექტში ჩართული არხებიდან 5 ქალაქის მონაცემით ითვლის ტელეკომპანიებს (TV 25; TV რიონი; TV ოდიში; TV გურია; TV დია). მხოლოდ ამ არხების მონაცემით, „უნივერსიას“ უყურებს 353 746 ადამიანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მონაცემი მხოლოდ 5 ტელევიზიას ასახავს, პროექტში კი მსგავსი რეგიონული ნიშის 2-ჯერ მეტი რაოდენობა იყო ჩართული, ასევე გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ რეიტინგების დათვლა ურბანული ქალაქების პანელით ხდება და სოფლებში მიზნობრივი აუდიტორია არ ითვლება, აღნიშნული მონაცემი ადასტურებს რეალური აუდიტორიის დაინტერესებას და სრულ დაფარვას.

გადაცემა ოპერატიულად ახლდება სპეციალურ youtube არხზე.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

GARB

2017 წლის
1 ოქტომბრიდან
გადაცემა „უნი-ვერსია“
გადის რეგიონულ
ტელევიზიებში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
მაუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან
გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).